საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ნესტან ტარიელაძე

ბიზანტიის ქართველი დედოფალი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია
ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სპეციალობა: ისტორია

თემის ხელმძღვანელი: ნ.სურმანიძე
ასოც. პროფესორი

ხიჭაური
2021

ანოტაცია

მარიამ ბაგრატიონი, სილამაზითა და გონებით გამორჩეული ბიზანტიის ქართველი დედოფალი, თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით წარუშლელ კვალს ტოვებს, როგორც ბიზანტიის, ასევე საქართველოს ისტორიაში. მართა-მარიამი, რომელიც ფაქტობრივად განაგებდა საიმპერატორო კარს, ყოველთვის განსაკუთრებულ სიყვარულს ავლენდა საქართველოს მიმართ. მისი ქორწინების მიზანიც სწორედ საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების დათბობა იყო. დედოფალმა, დიპლომატიური თუ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით უდიდესი ავტორიტეტი და პატივისცემა მოიპოვა საკუთარ სამშობლოში.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი, ისტორიულ წყაროებსა და ლიტურატურაზე დაყრდნობით, ქართველი დედოფლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის განხილვას ისახავს მიზნად.

Annotation

Maria Bagrationi, the Georgian queen of Byzantium, distinguished by her beauty and intelligence, her life and work, leaves an indelible mark on the history of Byzantium and Georgia. Martha - Maria, who actually ruled the imperial court, has always shown a special love for Georgia. The purpose of her marriage was to improve the Georgian-Byzantine relationship. The Queen has gained great authority and respect in her homeland through diplomatic or cultural-educational activities.

The aim of the presented master's thesis, based on historical sources and literature, is to discuss the life and activity of the Georgian queen.

შინაარსი

ანოტაცია ---------- 2

შესავალი ---------- 5

თავი I. საქართველოს საგარეო-პოლიტიკური გარემო XI საუკუნეში. ურთიერთობა ბიზანტიასთან ---------- 6

თავი II. მართა-მარიამის ბიოგრაფია

1.ოჯახი და წარმომავლობა ---------- 15

2. მართა-მარიამის პორტრეტი ---------- 20

თავი III. მარიამ ბაგრატიონის ცხოვრება და პოლიტიკური მოღვაწეობა ბიზანტიაში

1. მართა-მარიამი ბიზანტიის ორგზის დედოფალი ---------- 25

2. მარიამის დედოფლის ბრძოლა შვილისათვის ბიზანტიის ტახტის მოსაპოვებლად ---------- 32

თავი IV. მართა-მარიამი ეკლესია-მონასტრების, საგანმანათლებლო კერების მფარველი და აღმშენებელი ---------- 44

თავი V. მართა-მარიამის უკანასკნელი წლები თრაკიულ მამულში ---------- 50

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 52

შესავალი

XI ს-ის დამდეგს დასრულდა ბრძოლა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის და აღმოცენდა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქია, რომელიც XII ს-ში მახლობელი აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება რთულ საგარეო-პოლიტიკურ პირობებში მიმდინარეობდა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში დიდ გავლენას ახდენდა ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. ამ დროისათვის საქართველოში მძიმე პოლიტიკური სიტუაცია სუფევდა. კახეთ-ჰერეთის განდგომასა და თურქების შემოსევებს ემატებოდა კლდეკარის ერისთავ ლიპარიტ ბაღვაშის ურჩობა, რომელსაც აქტიურად ეხმარებოდა ბიზანტიის იმპერია. ბიზანტია საქართველოში მეტოქესა და მტერს ხედავდა, რის გამოც ყველგან ცდილობდა მისი გაერთიანებისათვის ხელის შეშლას. თავის მხვრივ ქვეყნის ცენტრალიზაციის პროცესში მყოფი საქართველო იბრძვის ეროვნული სუვერენიტეტის მოსაპოვებლად და გამოდის ბიზანტიის წინააღმდეგ. ამ მიზნით, ბაგრატ III-ის მემკვიდრე, გიორგი I დიპლომატიური კავშირებით, უშედეგოდ ცდილობს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ბიზანტიის მოწინააღმდეგე აზიის ქვეყნებისა და ეგვიპტის მმართველები. საქართველოსათვის ბიზანტიის იმპერიის ქვეშევრდომობიდან თავის დაღწევა და ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვების მცდელობა ასევე უშედეგოდ დამთავრდა XI საუკუნის 30-50-იან წლებშიც. ძლიერი ბიზანტიის დამარცხება იმ პერიოდისათვის ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ქვეყნისათვის რთული აღმოჩნდა. ზოგჯერ მეზობელ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი ურთიერთობებისა და გადარჩენის საუკეთესო გზა დიპლომატია, სახელმწიფოთა შორის დინასტიური ქორწინებები იყო. ხშირად ქართველი მეფეები დამოყვრებული ქვეყნის დახმარებით ახერხებდნენ თავიანთი გავლენის ზრდას.

ერთ-ერთი ასეთი დინასტიური ქორწინება გაფორმდა საქართველოს მეფის ბაგრატ IV ქალიშვილ მართასა და ბიზანტიის იმპერატორებს, ჯერ მიხეილ VII დუკასა და შემდეგ ნიკიფორე ბოტანიატესს შორის.

მარიამ ბაგრატიონის პოლიტიკური მოღვაწეობა ბიზანტიის საიმპერატორო კარზე დიდ წინააღმდეგობრივ ბრძოლებთან იყო დაკავშირებული. ის რეალურად მართავდა ბიზანტიის იმპერიას. ბიზანტიელი ისტორიკოსები მისი ნიჭის შესახებ დიდი აღფრთოვანებით საუბრობენ. ქედს იხრიან მისი სილამაზის წინაშე. დედოფალი დიდი სიყვარულით გამოირჩეოდა საქართველოს მიმართ. ეს ბუნებრივია, მისი ქორწინების მიზანი სწორედ საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების მოწესრიგება იყო.

მიუხედავად იმისა, რომ მართა-მარიამის შესახებ წერილობითი წყაროებისა და ისტორიოგრაფიაში მცირე ცნობებს ვხვდებით, მაინც შესაძლებელია ნათლად დავინახოთ დედოფლის მიერ წარმოებული, პოლიტიკური, დიპლომატიური და კულტურული ღონისძიებები, რომელმაც გარკვეული დროით მოაწესრიგა საქართველო-ბიზანტიას შორის ურთიერთობები.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავალის, ძირითადი ნაწილისა და დასკვნისაგან. დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის სია. ტექსტს თან ერთვის ინტერნეტის (google - ის) საძიებო სისტემაში მოძიებული საილუსტრაციო მასალა.

თავი I

საქართველოს საგარეო-პოლიტიკური გარემო XI საუკუნეში. ურთიერთობა ბიზანტიასთან

ბიზანტიას წარმოქმნის დღიდან, ჯერ ქართულ პოლიტიკურ ერთეულებთან, ხოლო შემდეგ გაერთიანებულ საქართველოსთან მუდმივი ურთიერთობა ქონდა. ეს ურთიერთობები ყოველთვის ერთნაირ ხასიათს არ ატარებდა. ქართველი მოღვაწეები დიდ როლს თამაშობდნენ ბიზანტიის სახელმწიფოს ცხოვრებაში. ცალკეული პოლიტიკური ერთეულები ხშირად გამოდიოდნენ ბიზანტიის მოკავშირეებად საერთო მტრის წინააღმდეგ, თუმცა იყო მომენტები, როცა მტრობა და ბრძოლები იჩენდა თავს. ბიზანტიას ხშირად უცდია საქართველოს ტერიტორიის დაპყრობა, ქართველები ხშირად ვასალურ დამოკიდებულებაში იყვნენ მათთან. არაბთა ბატონობის დასასრულმა ბიზანტია გაათავისუფლა ძლიერი მტრისაგან, ხოლო ქართულ პოლიტიკურ ერთეულებს ხელი შეუწყო ძალთა გაერთიანებაში. სახალიფოს დაშლის შემდეგ ბიზანტია შეტევაზე გადმოვიდა ამიერკავკასიის ქვეყნების დასაპყრობად, მაგრამ მას წინ აღუდგა გაერთიანების პროცესში მყოფი საქართველო (კოპალიანი, 1969:5).

ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლებისათვის ბიზანტიის ხელისუფლების მიერ საკარისკაცო ტიტულების - კურაპალატი, მაგისტროსი, ანთიპატროსი - მინიჭება საკეისროს მხრიდან ბაგრატიონებზე ფორმალური სუზერენობის შენარჩუნებას ემსახურებოდა, თუმცა ივანე ჯავახისვილის თქმით ***,,კეისრის უფლება საქართველოში არასდროს უბრალო მფარველობისა და გავლენის საზღვარს არ გასცილებია, სამეფოს შინაურ საქმეებში ჩარევის უფლება არა ჰქონია“*** (ჯავახისვილი, 1948:109).

X საუკუნის მეორე ნახევრიდან, მახლობელ აღმოსავლეთში შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომ ვერც ბიზანტია და ვერც ხალიფატი ვერ ახერხებს რეგიონში პოლიტიკურ ჰეგემონობას. ურთიერთჭიდილმა და ორივე ქვეყანაში შექმნილმა შიდაპოლიტიკურმა გართულებებმა დაასუსტა მათი საგარეო პოლიტიკური პოტენციალი, თუმცა ბიზანტია არ ნებდება და განაგრძობს თავის დამპყრობლურ პოლიტიკას და XI საუკუნის დასაწყისში, ბასილ II მმართველობის პერიოდში გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს (პაპასქირი, 1990:7).

XI საუკუნის დასაწყისიდან საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობაში ახალი ხანა იწყება. ბაგრატ III შეძლო ერთიანი ქართული სამეფოს შექმნა, რომელიც გადაიქცა უძლიერეს პოლიტიკურ ერთეულად. მისი გარდაცვალების შემდეგ (1014 წ) საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ამოცანა კავკასიაში პოზიციების განმტკიცება და ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვებაა, რაც ბიზანტიასთან ურთიერთობების მოწესრიგებაზე იყო დამოკიდებული. საქართველო ფორმალურად რჩებოდა ბიზანტიის ,,ვასალ ქვეყნად“. როგორც ვთქვით ქართველი მეფეები ატარებდა ბიზანტიის საკარისკაცო ტიტულებს. მიუხედავად ასეთი ფორმალური დამოკიდებულებისა საჭირო იყო ბიზანტიას ***,,ეგრძნო საქართველოს სიძლიერე და ერთხელ და სამუდამოდ ეღიარებინა მისი სუვერენობა და თანასწორობა“*** (მესხია, 1986:22). ამ მიზნის მისაღწევად იბრძოდა ბაგრატ III - ის მემკვიდრე გიორგი I. მისი მეფობა შიდა-პოლიტიკური გართულებებით დაწყო. დიდგვაროვნებმა და კახეთ-ჰერეთის ყოფილმა მმართველებმა ისარგებლეს მეფის მცირეწლოვანებით და განუდგენ მას: ,,***ქუეყანა ჰერეთ-კახეთისა, და ღაღადებითა აზნაურთათა შეპყრობილ იქმნენ ერისთავნი. მათ კუალადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა პირველ აქუნდა იგი“*** (ქცა, 1958: 383). ვახუშტი ბატონიშვილის თქმით ,,***ამან კვირიკე დაიპყრა კახეთი და ჰერეთიცა და იწოდა მეფედ კახთა“*** (ბატონიშვილი, 1973:561). ისტორიკოსი

მ.ლორთქიფანიძე თვლის, რომ ეს კვირიკე ,,რანთა და კახთა მეფეა“ (ლორთქიფანიძე, 1979:160). მიიჩნევენ, რომ მოგვიანებით ახალგაზრდა მეფეს უნდა მოეხერხებინა თავისი პრიორიტეტების აღდგენა კახეთ-ჰერეთზე, მაგრამ ,,რანთა და კახთა სამეფოს“ ფორმირებისათვის ხელი ვერ შეუშლია. უფრო მეტიც არსებობს მოსაზრება, რომ ***შესაძლებელია საქართველოს მეფემ ოფიციალურადაც ცნო სამეფოს შექმნა და მასთან შეკრა სამხედრო კავშირი.*** ამ სამეფოს ლაშქარი ეხმარებოდა გიორგი I ბიზანტიის წინააღმდეგ წარმოებულ ომში (პაპასქირი, 1990:104-105).

ქართული და უცხოური წყაროების მიხედვით გიორგის ბიზანტიასთან ჰქონია სამემკვიდრეო დავა (მატიანე ქართლისაი, სუმბატ დავითის ძე, არისტაკეს ლასტივერტეცი, იაჰია ანტიოქელი). ბუნებრივია მის ურჩობას ბასილი კეისარი არ შეეგუებოდა, ამიტომაც მეფე გიორგის ჭირდებოდა ანტიბიზანტიური კოალიციის შექმნა. მან თავისი გავლენის სფეროები გააფართოვა სომხურ სამეფოებზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ანისი; ანტიბიზანტიურ კოალიციას ანისის ვასალი სახელმწიფო - ვანანდის სამეფოც შეუერთდა. გიორგი პირველის მხარეზე უნდა გამოსულიყო ვასპურაკანიც (ვასპურაკანის მეფის, სენექერიმ არწრუნის ასული მარიამი გიორგის მეუღლე და ბაგრატ IV დედა იყო) (პაპასქირი, 1990:108-110). გიორგი სათანადოდ აფასებს მოწინააღმდეგის ძალებს და მოკავშირეებს წინააზიის ქვეყნებშიც ეძებდა. მას მიმოწერა ქონია ეგვიპტის ფატიმიდ ხალიფებთან ალ-ჰაქიმთან, აბუ ალი ალ-მანსურ იბნ ალ-აზიზთან, რომლებიც თავის მხრივ ცდილობდნენ დაესუსებინათ ბიზანტიის იმპერია (პაპასქირი, 1990:111-112). გიორგი I მონაწილეობა მიუღია ნიკიფორე ფოკასა და ფსიკეს მიერ, ბასილის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში. ფიქრობენ, რომ შემთხვევითი არაა ბასილმა ფოკას თავი სწორედ გიორგი მეფეს რომ გამოუგზავნა (პაპასქირი, 1990:114).

მიუხედავად გიორგი მეფის მცდელობისა გამოეყვანა მოკავშირეები ბიზანტიის წინააღმდეგ კრახით დასრულდა. მას მარტო მოუხდა მტერთან შებრძოლება (შირიმნისა და ბასიანის ბრძოლაში) და დამარცხდა. იძულებული გახდა დაეთმო იმიერტაოს მიწები და ეღიარებინა ბიზანტიის იმპერატორის ვასალობა და მოკავშირეობა.

1027 წელს გიორგი პირველი გარდაიცვალა და საქართველოს სამეფო ტახტზე მცირეწლოვანი ბაგრატ IV ავიდა. ბიზანტიის ხელისუფლებამ გააძლიერა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რაიონებში აგენტურა მხარეთა მფლობელების გადასაბირებლად. უკანასკნელებმაც ბიზანტიის მხარეზე გადასვლა სასარგებლოდ დაინახეს და სუმბატ დავითის ძის გადმოცემით ბაგრატის გამეფებისთანავე ***,,აზნაურნი ტაოელნი წარვიდეს საბერძნეთს იასე კარიჭის ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოანე. და ამათთან უმრავლესნი აზნაურნი ტაოსა, რომელნიმე ციხოვანნი და და განუდგეს ბაგრატს და მიერთნენ კონსტანტინეს“*** (ქცა, 1958:72).

მცირეწლოვანი ბაგრატის რეგენტი მარიამ დედოფალი იყო. იგი თავისი თანამეცხედრისაგან განსხვავებით არ უნდა ყოფილიყო ანტიბიზანტიური პოლიტიკის მატარებელი. უფრო მეტიც, ბაგრატის მცირეწლოვანობის დროს დედოფალი მოექცა ხელისუფლების სათავეში და ყველაფერს აკეთებს კონსტანტინეპოლთან დასაახლოვებლად. ეს პოლიტიური განსხვავებულობა, როგორც ჩანს ოჯახურ პრობლემებშიც გადაიზარდა და გიორგის ოვსთა მეფის ასული შეურთავს ცოლად, თუმცა ფიქრობენ, რომ მისი იურიდიული გაფორმება ვერ უნდა მომხდარიყო, რათა ეკლესია და კათალიკოსი მელქისედეკი დედოფალ მარიამს უჭერდა მხარს (პაპასქირი, 1990:133-137).

დედოფალ მარიამის მცდელობით საქართველო-ბიზანტიას შორის ფორმდება ერთობის ზავი, რაც პრობიზანტიური ძალების წარმატების მომასწავებელი იყო (პაპასქირი,1979:24-25). იმპერატორი კონსტანტინე VIII

გარდაცვალების (1028 წ) შემდეგ ტახტს იკავებს რომანოზ III. მისი მეფობის მესამე წელს შედგა საქართველოს დედოფლის ვიზიტი კონსტანტინოპოლში.

სუმბატ დავითის ძე საუბრობს კონსტანტინეპოლში მარიამ დედოფლის ვიზიტზე ,,*ამისსა შემდგომად წელსა მესამესა სანატრელმან დედოფალმან მარიამ, დედამან ბაგრატ მეფისამან, შეიმოსა სიმჴნე და ახოვანება, რამეთუ ნაშობი იყო ბრწყინვალეთა ძლიერთა და დიდთა მეფეთა არშაკუნიანთა და წარვიდა კონსტანტინეპოლედ წინაშე რომანოზ მეფისა, ვედრებად მისა, რათა მშვიდობა ყოს აღმოსავლეთისათვის და რათა არღარა იყოს ბრძოლა ბერძენთა და ქართველთა, და გლახაკნი დაწყნარებულ და მყუდრო იყვნენ, და რათა მიუთხრეს პატივი ძესა თჳისსა ბაგრატ მეფესა წესისაებრ სახელისა“* (ქცა, 1958:386). სუმბატ დავითის ძე დადებითად აფასებს მარიამ დედოფლის ამ პოლიტიკურ ნაბიჯს, მაშინ როდესაც ,,მატიანე ქართლისაჲ“ ამ ფაქტის მხოლოდ კონსტატაციით შემოიფარგლება და მოგვითხრობს, რომ ,,*შემდგომად ამისსა, წელსა მესამესა, წარვიდა დედოფალი მარიამ, დედა ბაგრატისი, აფხაზთა მეფისა, საბერძნეთად მშვიდობისა და ერთობისა, და კუალად ძიებად კურაპალატობისა ძისათვის თჳსისა, ვითარცა არს ჩვეულება და წესი სახლისა მათისა, და მოყვანებისა ძის ცოლისა “* (ქცა, 1958:279).

კონსტანტინეპოლში ზემოთ აღნიშნულ ვიზიტს მოყვა დიპლომატიური ქორწინება ბაგრატ IV-ისა და იმპერატორ რომანოზ III ქალიშვილს ელენე არგირეს შორის (1030-1031 წწ). ბუნებრივია ეს ქორწინება უნდა გამხდარიყო საქართველო-ბიზანტიას შორის ურთიერთობების მოწესრიგების გარანტი. ამ ვიზიტის შესახებ საინტერესო ცნობები აქვს დაცული ბიზანტიელ ისტორიკოსს გიორგი კედრენეს. იგი წერს: ,,*სანამ იგი შეკრებდა ჯარს* (იგულისხმება რომანოზ არგიროსის მზადება სირიის წინაარმდეგ), *ამასობაში ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა აფხაზეთის მთავარი გიორგი, ხოლო მისმა მეუღლემ მეფესთან ელჩები გამოგზავნა საჩუქრებით და სთხოვდა საზავო ხელშეკრულებას და თავისი ვაჟისათვის, ბაგრატისათვის საცოლეს“* (კედრენე,

1963:7-89). ამ ვიზიტის დროს დედოფალს საქართველოდან ახლდა მელქისედეკ კათალიკოსი. ქართული დელეგაცია ბიზანტიიდან ამიერტაოსაკენ გაეშურა, სადაც გადაიხადეს ქორწილი. დინასტიური ქორწინებით ორ სახელმწიფოს შორის დროებით დარეგულირდა ურთიერთობა.

მ. ლორთქიფანიძის შეხედულებით, ბრძოლის გაგრძელება ბიზანტიასთან, ამ ეტაპზე, შეუძლებელი იყო. თუმცა ეს არ ნიშნავდა საქართველოს მხრიდან სამხრეთ ტაოზე უარის თქმას, ***,,მაგრამ ჯერჯერობით სხვა გამოსავალი არ ჩანდა. საჭირო იყო პოზიციების გამაგრება სულ სხვა მხრივ, ქვეყნის საერთო მდგომარეობის განმტკიცება და სამხრეთ ტაოს საკითხი ალბათ მხოლოდ ამის შემდეგ დადგებოდა“*** (ლორთქიფანიძე, 1979:181-182; პაპასქირი, 1990:137).

ბუნებრივია საქართველოს სამეფო კარზე ყველა არ იყო პრობიზანტიური პოლიტიკის მომხრე. დედოფალი ელენე საქართველოში ჩამოსვლიდან მალე გარდაცვალა. ქართული წერილობითი წყაროები ამის შესახებ ძალიან მწირ ინფორმაციას გვაწვდიან. ,,მატიანე ქართლისაიში“ ნათქვამია, რომ ,,***შემდგომად მცირედისა ჟამისა მიიცვალა ელენე დედოფალი ქუთაისს შინა, და შეირთო ცოლად ბაგრატ მეფემან ბორენა დედოფალი, ოსთა მეფისა ასული, დაი დორღოლელისი“*** (ქცა,1958:280). ფაქტობრივად საქართველომ ბიზანტიის წინააღმდეგ ოსეთის სახით მოკავშირე გაიჩინა და განაახლა ბრძოლა (პაპასქირი, 1990:138).

ბიზანტიელი ისტორიკოსი იოანე ზონარა წერს: ***,,ხოლო აბაზგიის მთავარმა ბაგრატმა, რომელიც მეფე რომანოზის მოკეთე და ნათესავი იყო, რომაელებთან დადებული ზავი დაარღვია, რომაელებმა ციხეები და ქალაქები კვლავ სწრაფად დაიბრუნა უკან“*** (ზონარა, 1966:235; პაპასქირი, 1990:139).

ბიზანტიის ხელისუფლება, როგორც ჩანს, ამ პერიოდისათვის თავს არიდებს საქართველოს წინააღმდეგ აქტიურ შეიარაღებულ გამოსვლებს და კმაყოფილდება ქვეყნის შიგნით ოპოზიციური ძალების მხარდაჭერით; პოლიტიკურ თავშესაფარს აძლევს ბაგრატის ნახევარძმას დემეტრე უფლისწულს და უბოძებს მაგისტროსის ტიტულს. ბიზანტიისათვის დემეტრე სასურველ კანდიდატად მოიაზრებოდა საქართველოს სამეფო ტახტზე ბაგრატის წინააღმდეგ. თუმცა ერთბაშად ვერ შეძლო მისი გამოყენება. XI ს 30-იანი წლებში ბიზანტიის ასეთი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ გამოწვეული იყო მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობით. საქართველოში კი შედარებით სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია სუფევდა, რამაც ბაგრატ მეფეს საშუალება მისცა თბილისის საამიროსა და კახეთის შემოერთებისათვის ეფიქრა. თუმცა, ამ მხრივ, მისი ყველა ღონისძიება უშედეგო აღმოჩნდა. ამას დაემატა კლდეკარის ერისთავის ლიპარიტ ბაღვაშის ზავი თბილისის ამირასთან (1039-1040 წწ). ბაღვაშის სახით საქართველოში გაჩნდა ძლიერი ოპოზიციური ძალა რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს, როგორც ქვეყნის გაერთიანებას, ასევე საგარეო-პოლიტიკურ წინსვლას (პაპასქირი, 1990:157-159). მაგ. ,,მატიანე ქართლისაიდან“ ირკვევა, რომ საქართველოს მეფის ბრძოლა კახეთის შემოერთებისათვის წარმატებით ვერ განხორციელდა, ვინაიდან ,,***ლიპარიტ იწყო საურავთა გუერდქცეულთა“.*** როგორც ჩანს, ბაგრატისა და ლიპარიტის დაპირისპირება გასცდა ქვეყნის შიდა-პოლიტიკურ კონფლიქტს. ამ კონფლიქტში ჩაერია ბიზანტია, რომელიც ბაგრატ IV ეჭვის თვალით უყურებდა და აშფოთებდა მისი ანტიბიზანტიური პოლიტიკა, რამაც საერთაშორისო არენაზე ბიზანტიის ავტორიტეტს საფრთხე შეუქმნა. ამიტომაც ბაგრატის წინააღმდეგ ბრძოლაში ლიპარიტს მხარი დაუჭერა ბიზანტიამაც.

XI საუკუნის 40-იან წლებში თურქ-სელჩუკთა გამოჩენამ მნიშვნელოვნად შეცვალა ბიზანტიის დამოკიდებულება საქართველოს მეფისადმი. მისი ინტერესის სფეროში მოექცა საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება. მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატი ატარებდა ბიზანტიის საკარისკაცო ტიტულს იგი ფაქტობრივად თავისუფალი მმართველი იყო. მტერთან დამარცხებამ საიმპერატორო კარი აიძულა საქართველოსთან გამოენახა საერთო ენა, თუმცა მას საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმება დროებით სურდა. უნდოდა საქართველო გამოეყენებინა თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში, თავის მხრივ ხანგრძლივი ბრძოლით დაღლილ საქართველოს ხელისუფლების ინტერესშიც შედიოდა ბიზანტიასთან ურთიერთობების მოწესრიგება და სელჩუკების წინააღმდეგ ძალების გაერთიანება.

თავი II. მართა-მარიამის ბიოგრაფია

1. ოჯახი და წარმომავლობა

საქართველოს მეფე ბაგრატ IV -ისა (1027-1072 წწ) და დედოფალ ბორენა ალანელის ქალიშვილს, ბიზანტიის ვასილევსების მიხეილ VII დუკასა და ნიკიფორე ბოტანიატესის მეუღლეს, მართას ბიზანტიური წერილობითი წყაროები მარიამის სახელით იცნობს. ამიტომაც იგი სამეცნიერო ლიტერატურაში მართას, ხან კიდევ, მართა-მარიამის სახელით მოიხსენიება (ანთილავა, 1983:437-440). მარიამი დაიბადა 1050 წელს. ცნობილია, რომ დედამისი, დედოფალი ბორენა ლამაზი და გონიერი ქალი იყო და მართაც გარეგნულად ძალიან ჰგავდა მას. სწორედ ამიტომ ბიზანტიაში გათხოვების შემდეგ მეტსახელად „ალანელი“ მიანიჭეს (ოთარაშვილი, მიქელაძე, 2020:113). ვ.კოპალიანი აღნიშნავს, რომ რუსულ საისტორიო ლიტერატურაში რატომღაც ქართულ წერილობით წყაროებს ანგარიშს არ უწევენ და მართა-მარიამი ალანად მიაჩნიათ. ის თვლის, რომ აღნიშნული შეცდომა იოანე სკილიცეს გამგრძელებლის არასწორი ცნობიდან მომდინარეობს. წყაროში ნათქვამია, რომ: ბოტანიატი არჩევანში იყო, რომელი შეერთო: ***,,დუკას მეუღლე მეორედ დიოგენეზე გათხოვილი ევდოკია, თუ მიხეილის მეუღლე მარიამ ალანელი“*** (სკილიცეს გამგრძელებელი, 1966:164). ამ საკითხს პირველად ყურადღება მიაქცია ფრანგმა ისტორიკოსმა შ.დიუკაჟმა XVII საუკუნეში. იგი აღნიშნავს, რომ მართა ივერიის მეფის ასულია და მიუთითებს, რომ ივერიელები, ალანები და აბაზგები ერთი ტომის წარმომადგენლებია (ნოდია, 1978:146-147).

მატიანე ქართლისაის მიხედვით მართას დედა საქართველოს დედოფალი XI ს 30-იან წლებში გახდა, რამაც განამტკიცა საქართველო-ოსეთის ურთიერთობები, ოსთა მეფე დორღოლელი ღებულობს მონაწილეობას საქართველოს სასარგებლოდ წარმოებულ ბრძოლებში განძის საამიროსთან.

ბორენა დედოფალი დაჯილდოვებული იყო დიპლომატიური უნარებით. ბაგრატ მეფის იმპერიაში ყოფნის დროს, როდესაც ლიპარიტ ბაღვაშმა გადაწყვიტა გაემეფებინა გიორგი უფლისწული, ამ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს ბორენა დედოფალი აწარმოებდა. უფრო მეტიც გიორგი უფლისწულთან ერთად მართავდა ქვეყანას. ,,ი***თხოვა ლიპარიტ ძე ბაგრატისი, გიორგი მეფედ, რათა მისცეს იგი დედამან მისმან და დიდებულთა მის ქვეყანისათა“*** (ქცა, 1958:304, 313).

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბაგრატ IV ჰყავდა კიდევ ერთი ქალიშვილი - მარიამი, რომელიც შეუმჩნეველი აღმოჩნდა მკვლევართათვის. პროფესორი ი. ანთელავა მიიჩნევს, რომ ამის მიზეზი ბიზანტიაში მართასათვის მისი დის სახელის დარქმევა გახდა (ანთილავა, 1983:437-440). მკვლევარი მიუთითებს, რომ ყველა ქართულ წერილობით წყაროში ბიზანტიის დედოფალი მართად იწოდება. არგუმენტად მოჰყავს არაერთი წყარო; მათ შორის 1066 წლის ერთ-ერთი მინაწრში: ***"დაიწერა ჴელითა სიმეონ დვალისაჲთა... მეფობასა დუკისასა, მას ჟამსა ოდეს ბაგრატის ასული მართა სამეფოს იყო"*** (ანთილავა, 1983:437-440). ,,მატიანე ქართლისაის“ ცნობა ***"დიდმან ბაგრატ მეფემან გაათხოვა ასული თჳსი მართა და შერთო ბერძენთა მეფესა"*** (ანთილავა, 1983:437-440). რუის-ურბნისის საეკლესიო კრების სინოდიკონში, კაპპათის მონასტრის ხელნაწერთა მინაწერებში, ბიზანტიის დედოფალი მართად მოიხსენიება (ანთილავა, 1983:437-440). ათონის ერთ-ერთი აღაპი, სადაც მართა იწოდება მარიამად, იქვე განმარტებულია, რომ საუბარია: ***„დედოფლისა ჩუენისა მარიამ მართა ყოფილისაჲ..."*** (ანთილავა, 1983:437-440). ანთილავა თვლის, რომ ბაგრატ IV მეორე ქალიშვილი მარიამი ხშირად არის გაიგივებული მართასთან და ფიქრობს, რომ საქმე ბიზანტიის დედოფლის დასთან უნდა გვქონდეს (ანთილავა, 1983:437-440).

არგუმენტად ასევე გრიგოლ ღვთისმეტყველის "სწავლათა" და ცხოვრების ხელნაწერს" იშველიებს: ***"წმიდაო გრიგოლი ღთის მეტყლო, მადლითა და შეწევნითა შენითა მოჰმადლე და ღირს ყავ წმიდათა ამათ სიტყუათა შენთა აღწერად და აღსრულებად სარწმუნოებით მვედრებელსა შენსა და სურვილით მეძიებელსა წმიდათა სწავლათა შენთასა მჴევალსა შენსა მარიამს ბაგრატ აფხაზთა მეფისა და სევასტოსის ასულსა, ამინ"*** . არ ეთანხმება თ.ჟორდანიას მოსაზრებას, რომ წყაროში მართას შესახებაა საუბარია. რადგანაც თვლის, რომ თუ ხელნაწერი მართას გათხოვების შემდეგაა "აღწერილი", მაშინ იქ აღნიშნული უნდა ყოფილიყო მისი ბიზანტიაში დედოფლობა, ხოლო თუ გათხოვებამდე დაიწერა ის, მაშინ მართად უნდა იყოს მოხსენიებული. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას ამახვილებს "მატიანე ქართლისაის" იმ ნაწილზეც, სადაც საუბარია ბაგრატ IV გარდაცვალებაზე. სიკვდილის პირას მყოფ ბაგრატთან ***"მოვიდა დედა მისი მარიამ დედოფალი, და ცოლი მისი ბორენა, და ასული მისი მარიამ"*** (ანთილავა, 1983:437-440). მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ აქ ბიზანტიის დედოფალზეა საუბარი; მართა მომაკვდავ მამასთან საგანგებოდ ჩამოსულა, რათა გამომშვიდობებოდა (ნოდია, 1978:146-147). ბუნებრივია ამაში უცნაურს ვერაფერს ხედავს მკვლევარ ი. ანთილავა, მაგრამ ითვალისწინებს იმას, რომ ბაგრატ IV ავადმყოფობამ დიდხანს არ გასტანა, მას დაემართა ,,***სალმობა მუცლისა“ ,*** მალე გარდაიცვალა და ბიზანტიის დედოფალი მამასთან გამომშვიდობებას ვერ მოასწრებდა. ავტორი თავის მოსაზრებებს შემდეგი ცნობებით ამყარებს: ***"ითარგმნა უკუე წიგნი ესე მეტაფრასი ქალაქსა შინა სამეუფოსა კოსტანტინოპოლის, მონასტერსა შინა ყოვლად შუენიერსა ტრიანდაფლივს დედისა ღმრთისასა უღირსისა მიერ თეოფილეს რეცა ხუცეს მონაზონისა და მათვე ჴელითა მიერ დაინუსხა დასაბამითგან წელთა ექუსი ათას ხუთას ოთხმეოც და მეცხრესა, ინდიკტიონსა ოთხსა ბერძნულად; მეფობასა აღმოსავლეთს გიორგი კესაროსისა, ბაგრატის ძისა, რომლისა ბრძანებითა ვიწყეთ თარგმნად წიგნთა ელლინურისაგან ქართულად, ხოლო საბერძნეთს***

დედოფლობასა მართა, მისივე გიორგის დისასა და მეფობასა ნიკიფორე ბოტიანატისა და ალექსი კომნინისა, მას ჟამსა ოდეს ბაგრატის ასული მარიამ დედოფალი აღმოსავლეთით კონსტანტინეპოლეს შემოვიდა" (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა..., 1986:79). წყაროს მიხედვით თეოფილე ხუცესმონაზონს ხელნაწერის „დანუსხვა“ დაუმთავრებია 1081 წ, „აღმოსავლეთს" გიორგი კესაროსის მეფობისას, როცა საბერძნეთში (ბიზანტიაში) "მისივე გიორგის და" - მართა დედოფლობდა. წყაროში დასახელებული არიან "ნიკიფორე ბოტინატი" და "ალექსი კომნინი". ხელნაწერი შესრულებულია ნიკიფორეს ტახტიდან გადააყენებისა და ალექსი I კომნინოსის გამეფების დროს. ამ დროს საქართველოდან კონსტანტინოპოლს "შემოსულა" "ბაგრატის ასული მარიამ დედოფალი". მკვლევარს მიაჩნია, რომ ხუცესმონაზონთან გარკვეულად ჩანს, რომ "საბერძნეთის დედოფალი მართა" და "ბაგრატის ასული მარიამ დედოფალი" სხვადასხვა პირია და ფიქრობს, რომ მათი გავაიგივებით, გაურკვეველი რჩება ერთ ცნობაში თუ რატომ იწოდება იგი ხან მართად და ხან მარიამად. ამასთანავე, როცა ბოტანიატესი ტახტიდან ჩამოაგდეს, "დედოფალი მარიამი და კონსტანტინე... სასახლეში ცხოვრობდნენ... ის არ გამოდიოდა სასახლიდან, ვინაიდან ეშინოდა კონსტანტინეს არაფერი შემთხვეოდა“. ავტორი ასევე იშველიებს სხვა წყაროებსაც. მაგ. რუის-ურბნისის 1105 წ. კრების სინოდიკონი "მრავალჟამეულს" უსურვებს მართას. მარიამ დედოფალი კი ამ დროისათვის მიცვალებული ჩანს. ეგნატი ხუცესმონაზონის, წყაროსთავის მათეს სახარების მინაწერში აღნიშნულია: ***„სადიდებელად და სალოცველად ღვთივგკრგკნოსანთა მეფეთა ჩ˜ნთა: სულითა განათლებულისა კურთხეულისა დედფლისა მარიამისა, და ძმისა მათისა გიორგი მეფეთ მეფისა და კესაროსისა და ძისა მათისა დავით მეფისა და სევასტოსისა და სანატრელისა დედისა მათისა ელენე დედოფლისა..."*** (ქრონიკები, 1895; გაბიძაშვილი, 1978).

ზემოთ აღნიშნული ცნობების ერთმანეთთან შეჯერების საფუძველზე პროფესორი ანთილავა მიდის იმ დასკვნემდე, რომ მართა და მარიამი ორი სხვადასხვა პიროვნებაა (ანთელავა, 1988:19). ამ მოსაზრებას არ ეთანხმება მ.მასურაშვილი. იგი აღნიშნავს, *რომ ,,მარიამი მისი ბიზანტიური სახელია, ხოლო მართა დაბადებისას მინიჭებული. მიაჩნია, რომ წყაროებში მოხსენიებული ორი სხვადასხვა სახელი პრობლემას არ წარმოადგენს სახელის იდენტიფიცირების დროს. ვფიქრობთ, რომ შეგნებულადაა ნახსენები მისი პირველი სახელი მართა, რათა არ დაიკარგოს და აღსაქმელად იყოს ადვილი... ბიზანტიაში მიღებული იყო დაწინდვის ცერემონიალის შემდეგ დედოფლისათვის სახელის შეცვლა“* (მასურაშვილი, 2019:16).

2. მართა-მარიამის პორტრეტი

ბიზანტიის ქართველი დედოფალი მარიამ ბაგრატიონი განსაკუთრებული გონებითა და სილამაზით გამორჩეული ქალბატონი ყოფილა. ამაზე ნათლად მიუთითებს შუა საუკუნეების არაერთი წერილობითი წყარო თუ ხელოვნების ნიმუშები. მის შესახებ აღფრთოვანებით საუბრობენ, როგორც ქართველი ასევე უცხოელი ავტორები.

ერთ-ერთი პირველი, ვინც, ჯერ კიდევ მცირეწლოვანი მართას შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა გიორგი ხუცეს-მონაზონია. ბიზანტიაში მყოფ ბაგრატ მეფეს დედოფალმა თეოდორამ, რომელიც უშვილო ქალი იყო, მართა სთხოვა და საკუთარი ქალიშვილივით მიიღო. ხუცეს-მონაზონის თქმით, ჯერ კიდევ 1055-1056 წლებში ,,***ოდეს თეოდორა დედოფალსა ეპყრა ბერძენთ მეფობაჲ, ითხოვა ბაგრატ მეფისაგან, რათა მოსცეს ასული თჳსი მართა და შვილად თჳისად აღზარდოს“*** (კეკელიძე, 1960:141; კოპალიანი, 1969:275)**.** ეს ის დრო იყო როცა ბაგრატ მეფე ლიპარიტ ბაღვაშთან და ბიზანტიელებთან ბრძოლაში დამარცხებული, თავის დედასთან, მარიამთან ერთად კონსტანტინეპოლში წავიდა. ბაგრატ IV დაეთანხმა თეოდორა დედოფალს და ,,***წარმოგზავნა შვილი თჳისი მართა კაცთა თანა საკუთართა თჳისთა“*** (კეკელიძე, 1960:141; კოპალიანი, 1969:275)**,** მაგრამ სანამ მართა კონსტანტინეპოლში მივიდოდა თეოდორა გარდაიცვალა (კოპალიანი, 1969:275). აღსანიშნავია, რომ დედოფალ თეოდორას დაკრძალვას ქართველებიც ესწრებოდნენ, მათ შორის გიორგი ხუცეს-მონაზონი. მარიამის მშვენიერებით აღტაცებულმა წამოიძახა: ***„უწყოდეთ, ყოველთა, ვითარმედ დღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდა“*** (კოპალიანი, 1969; გიორგი მცირე, 1967:141). გიორგი მთაწმინდელის ეს წინასწარმეტყველება მართლაც ახდა ცხრა წლის შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიელები სხვა ერებს არ წყალობენ გარდა ბერძნებისა, მართა-მარიამი საიმპერატორო კარზე იმდენად პატივსაცემი მოღვაწე გახლდა, რომ მაშინდელი ბიზანტიელი ისტორიკოსები ვერ მალავენ აღფრთოვანებას დედოფლის გონებისა და სილამაზის წინაშე.

იმპერატორ ალექსი I ქალიშვილი, ანა კომნენე გაოცებულია დედოფლის აღზრდითა (ქცევებით, მანერებით) და განათლებით (სიტყვა-პასუხით); განსაკუთრებით აღფრთოვანებულია მისი სილამაზით: ***„დედოფლის სილამაზე და მისი მომაჯადოებელი მიმზიდველობა, მისი ზნის სანდომიანობა---ყველაფერი ეს აღემატებოდა ფერწერასა და ხელოვნებას. არც აპელსს, არც ფიდიასს, არც რომელსამე სხვა მოქანდაკეს არ დაუტოვებია ამის მსგავსი რამ ქანდაკება...ასეთი თანაზომიერება ასოთა და ნაკვთთა, ასეთი შეხამება მთელისა ნაწილებთან და ნაწილებისა მთელთან, მართლაც რომ არავის უნახავს ადამიანის სხეულში. ეს იყო ცოცხალი ქანდაკება, რომელიც ხიბლავდა მშვენიერების მოყვარულთ. ეს იყო თვით იმეროსი, რომელსაც ხორცი შეუსხამს ამ ჩვენს დედამიწაზე“*** (კომნენე, 1966:68-69). ვხედავთ თუ როგორი მხატვრული ენით აგვიწერს ანა კომნენე მართა-მარიამ დედოფლის სიმშვენიერეს, სწორედ მისი აღწერის საფუძველზე გ. გერცბერგი წერს: ***ნიკიფორე ბოტანიატი მოხიბლა იმ დროის ულამაზესი ქალის, ქართველი მთავრის ასულის, დედოფალ მარიამის სიმშვენიერემ; არ გაუწია ანგარიში იმას, რომ დედოფლის ქმარი ჯერ ცოცხალი იყო და სამღვდელოებისა და დედაქალქის აღშფოთების მიუხედავად ჯვარი დაიწერაო*** (კოპალიანი, 1969:290).

დედოფლის ჩვენამდე მოღწეული მხატვრული პორტრეტი დაცულია ხახულის კარედზე (ტრიპტიქონზე). ცნობილია, რომ ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი დავით აღმაშენებელმა გელათის მონასტერში საგანგებოდ ჩამოატანინა ხახულის მონასტრიდან. ხატი თავდაპირველად ძალიან სადა და ნაკლებად გადატვირთული იყო და შემდეგში შეამკეს

გელათის მონასტერში მრავალრიცხოვანი ძვირფასი ქვებითა და ტიხრული მინანქრის ნამუშევრებით.

ხატზე მართა მიხეილ VII დუკასთან ერთადაა გადმოცემული. მეფე და დედოფალი ბიზანტიურ სადღესასწაულო ტანსაცმელში და პოზაში არიან გამოწყობილნი. ტანსაცმელზე ოქრომკერდით ამოქარგულია ძვირფასი თვლებით შემკული ფარი, წვერით ქვემოთკენ მიმართული. ასე იმოსებოდნენ ბიზანტიის დედოფლები აღდგომის დღესასწაულის პირველ დღეს. დედოფლის მდიდრულად მორთული მოსასხამი მხრებიდან ძირს ეშვება, მეორე ნაწილი თითქოს სარტყელს ქვემოთ ტანს კვეთს, მარცხენა მხარეზეა გადაგდებული და ძირს ეშვება. იმპერატორს ჩჩეულებრივი საკიდებიანი ოქროს გვირგვინი ადევს. მარიამის ოქროს გვირგვინი ორმწკრივად განლაგებული ოთხკუთხა მწვანე ქვებითაა შემკული. მიხეილ VII გამოსახულია საზეიმოდ, მარჯვენა ხელში ლაბარუმი უპყრია, მარცხენაში - თეთრი გრაგნილი. მარიამს მარჯვენა ხელი მკერდზე აქვს მიდებული, მარცხენაში ტოლმკვლავებიანი ჯვრით შემკული არგანი (კვერთხი) უჭირავს.

ხახულის ტრიპტიქონის ფრთებზე შემონახულია კიდევ სამი ოვალური ფორმის მედალიონი, რომელშიც ბიზანტიის დედოფლის სამოსში გამოსახულია მანდილოსნები. ერთ მათგანზე საზეიმოდ გამოწყობილი დედოფალი მონაზონთა მფარველ იოანე ნათლისმცემლის წინაშე დგას ლოცვად ხელაპყრობილი. შ. ამირანაშვილი თვლის, რომ ეს კომპოზიცია წარმოადგენს მარიამის ბედის ილუსტრაციას; კერძოდ, ასახავს იმ ეპიზოდს, როცა დედოფლის მეორე ქმრის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ კომნენოსებისაგან იმედგაცრუებული მარიამი იძულებული შეიქმნა მონაზვნად აღკვეთილიყო (ამირანაშვილი, 1972:25).

მეორე მედალიონზე გამოსახულია ღვისმშობელი, რომელიც მის ორივე მხარეს ორ დედოფალს აკურთხებს. ორივე მათგანს ოქროს გვირგვინი ადგათ.

დედოფლებიდან ერთი მართა მარიამია, მეორე (მაღალი) კი, მარიამ არწრუნი მართას ბებია (ამირანაშვილი, 1972:.26-27)

მესამე მედალიონზე საზეიმოდ გამოწყობილი დედოფალი მახარობელი ანგელოზის წინ დგას თავდახრილი და უსმენს მას (ამირანაშვილი, 1972:27).

იოანე ოქროპირის თხზულებათა ბერძნული ხელნაწერის მინიატურაზე (პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკა) მარიამ დედოფალი გამოსახულია თავის მეორე მეუღლესთან ნიკიფორე ბოტანიატესთან. აქაც მას მარჯვენა ხელში იმავე ფორმის კვერთხი უპყრია ხელთ, როგორიც ხახულის ხატზე. საინტერესოა, რომ ქართველ დედოფალს ყველა ზეიმზე რომელსაც იგი ესწრებოდა, როგორც ოფიციალური პირი, ხელთ ქართული კვერთხი ეპყრა. დედოფლის გამოსახულებით პარიზის ბერძნული ხელნაწერი დაახლოებით 1074-1078 წლებშია შედგენილი. ფიქრობენ რომ თავდაპირველად ბოტანიატეს გამოსახულების ქვეშ მიხეილ პარაპინაკი იყო აღბეჭდილი, ხოლო შემდეგ 1078 წელს მისი გამოსახულება გადააკეთეს (ამირანაშვილი, 1972).

ხახულის ხატსა და პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის მინიატურაზე გადმოცემულია დედოფლის სილამაზის დამახასიათებელი ნიშნები: მაღალი, ტანადი, ამაყი, თხელი ნაკვთებით, მეტყველი შავი თვალებით, პირსახის ლამაზი მოყვანილობა და ანა კომნენის მიერ საგანგებოდ შექებული სახის ფერი. ასეთია დედოფლის გამოსახულება ხატსა და მინიატურაზე (ამირანაშვილი, 1972:23).

1074-1080 წლებით დათარიღებულ ბერძნულ ხელნაწერში შემორჩენილია, მართა-მარიამის ორი გამოსახულება: პირველ ქმართან და შვილთან - კონსტანტინე პორფიროგენეტთან ერთად. ხელნაწერი დაცულია პეტერბურგის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

ცნობილი მეცნიერი რუთ დე კოლენბერგი მართას მინანქრულ გამოსახულებად მიიჩნევს მონტე სან ანჯელოს ბრინჯაოს კარიბჭეზე, სადაც

იგი გამოსახული უნდა იყოს მიხეილ VII დუკასთან ერთად. მეცნიერი ამტკიცებს, რომ მოგვიანებით ამოუშლიათ მისი სახელი. ის ასევე ვარაუდობს, რომ ვენეციის სან მარკოს განთქმულ პალლა დ'ოროზე თავდაპირველად მართა იყო გამოსახული კვლავ მიხეილ პარაპინაკთან ერთად და ეს ნიმუშიც გადაკეთებულია.

მართა დედოფალი გამოსახულია სხვადასხვა ბიზანტიურ ოქროსა და ვერცხლის მონეტებზე. როგორებიცაა „ტეტარტერა" და „მილიარესია" (მასურაშვილი, 2019:39).

თავი III

მარიამ ბაგრატიონის ცხოვრება და პოლიტიკური მოღვაწეობა ბიზანტიაში

1.მართა-მარიამი ბიზანტიის ორგზის დედოფალი

მართა-მარიამი და მიხეილ დუკა.

XI საუკუნის 50-იან წლებში საქართველოში საკმაოდ მძიმე პოლიტიკური სიტუაცია სუფევდა. კახეთ-ჰერეთის განდგომასა და თურქების შემოსევებს ემატებოდა კლდეკარის ერისთავ ლიპარტ ბაღვაშის ურჩობაც, რომელსაც აქტიურად ეხმარებოდა ბიზანტიის იმპერია. ბიზანტია საქართველოში მეტოქესა და მტერს ხედავდა, რის გამოც ყველანაირად ცდილობდა მისი გაერთიანებისათვის ხელის შეშლას.

1052 წელს ბაგრატ IV თავის ორი წლის ასულ მარიამთან, დედა-დედოფალ მარიამ არწრუნთან (ბაგრატის დედა) და დიდ ამალასთან ერთად გაემგზავრა კონსტანტინოპოლში. იმავე დროს მან იმპერატორს ლიპარტთან შერიგების შუამდგომლობა სთხოვა. იმპერატორ კონსტანტინე მონომახისა და ბაღვაშთა საგვარეულო ინტრიგებს, ბაგრატის, დედოფალ მარიამ არწრუნისა და მცირეწლოვანი მართას სამწლიანი ტყვეობა მოჰყვა ბიზანტიის სამეფო კარზე. ამ ტყვეობის დროს, 1055 წლის იანვარში გარდაიცვალა კონსტანტინე მონომახი, რომელსაც შვილი არ დარჩა. ამის გამო, ბიზანტიის ტახტზე იმპერატორ კონსტანტინე VIII-ის ასული, დედოფალი თეოდორა ავიდა.

თეოდორა დიდად მოხიბლული დარჩა ბაგრატის მცირეწლოვანი ქალიშვილით და საქართველოს მეფეს სთხოვა მარიამი მისთვის მიეშვილებინა. ბაგრატ IV-სა და დედოფალ მარიამს სხვა გზა არ დარჩათ, რის გამოც მათ მართა კონსტანტინოპოლში დატოვეს (აბაშიძე, ბახტაძე, ჯანელიძე,

2013:128). იგი ძალიან უყვარდა დედოფალ თეოდორას, რომელიც უშვილო ქალი იყო და მართა საკუთარი ქალიშვილივით მიიღო. თუმცა, თეოდორა მალევე გარდაიცვალა. მისი დაკრძალვის შემდეგ, ქართული დელეგაცია მართასთან ერთად ცოტახანს გააჩერეს კონსტანტინოპოლში, შემდეგ კი საქართველოში დააბრუნეს (კოპალიანი, 1969:276).

1059 წელს კონსტანტინოპოლის ტახტზე ავიდა კონსტანტინე X დუკა. ***„თეოდორას გარდაცვალების შემდეგ (1056 წ.) დუკიწმან მოითხოვა მართა რძლად და როდესაც გიორგი მთაწმინდელი საქართველოში ყოფნის შემდეგ დაბრუნდა კონსტანტინეპოლში, კონსტანტინე დუკიწმან რძლად მოიყვანა მართა“*** (კომნენე, 1966:118).

კონსტანტინე დუკას მთავრობა დაინტერესებული იყო საქართველოსთან ნათესაური კავშირის დამყარებით, მაგრამ თავის დროზე თეოდორა დედოფლის მიერ მართა ბაგრატიონის შვილად აყვანამ კიდევ უფრო დააინტერესა იგი, რომ ბაგრატის ასული მისი რძალი გამხდარიყო (კოპალიანი, 1968:277).

ცნობილია, რომ ბიზანტიაში არ არსებობდა ტახტის მფლობელობის წესი. მაგრამ მაკედონელთა ბატონობის ხანაში ამის ტენდენცია ჩნდება. ამიტომ დუკათა საგვარეულოს ბიზანტიის ტახტზე განმტკიცებისათვის, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმას, რომ მაკედონელთა საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენლის თეოდორა დედოფლის მიერ შვილად წაყვანილი მართა ბაგრატის ასული დუკების ოჯახის წევრისა და კონსტანტინე დუკას უფროსი შვილის, მიხეილის მეუღლე გამხდარიყო (კოპალიანი, 1968:277).

ამავე დროს ბაგრატ მეფე ძალიან საჭირო გახდა ბიზანტიისათვის, რადგან აღმოსავლეთში დიდი მარცხი განიცადეს ბერძნებმა თურქ-სელჩუკებისგან. ამ რეგიონში კი უძლიერესი ქრისტიანი ხელმწიფე ბაგრატ IV იყო. ბაგრატი ამ შემოთავაზებას სიხარულით დასთანხმდა, რის შემდეგაც მარიამი დიდი ძღვენითა და შესაფერისი ამალით კონსტანტინოპოლში

გააგზავნეს, რათა მომავალ იმპერატორზე დაქორწინებულიყო (ოთარაშვილი, მიქელაძე, 2020“114).

1065 წელს მარიამი ცოლად გაჰყვა კონსტანტინე X-ის ვაჟს მიხეილ დუკას (1050-1090). მიუხედავად უცხოური წარმომავლობისა მან მალევე მოიპოვა ავტორიტეტი ბიზანტიის სამეფო კარზე (რასაც სხვა ფაქტორებთან ერთად ადასტურებს 1070 წელს გამოცემული ბიზანტიური ბრინჯაოს მონეტა, რომლზეც დედოფალი მარიამია გამოსახული).

იმპერატორი კონსტანტინე X 1067 წელს გარდაიცვალა, თუმცა ტახტზე მისი ვაჟი მიხეილი ვერ ავიდა. კონსტანტინეს სამი ვაჟი - მიხეილი, ანდრონიკე და კონსტანტინე - დარჩა. სიკვდილის წინ მეფობა შვილებს გადასცა და მათი არასრულწლოვანობის გამო რეგენტობა თავის მეუღლეს, დედოფალ ევდოკიას მიანდო. რთული საშინაო და საგარეო ვითარებიდან გამომდინარე დედოფალმა ვერ გაართვა თავი ქვეყნის მართვას (კოპალიანი, 1968:277).

იმპერატორის სიკვდილის შემდეგ კაპადოკიელმა დიდგვაროვანმა რომანოზ დიოგენემ აჯანყება მოაწყო ტახტის ხელში ჩასაგდებად, მაგრამ დამარცხდა და შეიპყრეს. საპყრობილედან იგი ქვრივ დედოფალ ევდოკიას წყალობით გაათავისუფლეს, რომელზეც მან მალევე იქორწინა და ბიზანტიის იპერატორიც გახდა რომანოზ IV-ის სახელით.

დიოგენე მსხვილი სამხედრო ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელი იყო. იგი შეეცადა აღედგინა კონსტანტინე დუკას მეფობის დროს შერყეული ბიზანტიის სამხედრო ძლიერება, მაგრამ უდიდეს წინააღმდეგობას წააწყდა. მის მიერ წარმოებული არასწორი პოლიტიკიდან გამომდინარე საიმპერატორო ხელისუფლების დიდი თანამდებობის პირები და ეკლესიის მამამთავრები ყველა მის წინააღმდეგ დაირაზმა. ამას ემატებოდა თურქ-სელჩუკებთან ბრძოლებიც. რომანოზ IV მეფობის პირველ წლებში წარმატებით ებრძოდა მტერს, თუმცა 1071 წელს მანასკერტთან ბრძოლაში სულთანმა ალფ-არსლანმა ბიზანტიელები სასტიკად დაამარცხა და

თვით იმპერატორიც ტყვედ ჩაიგდო. საზავო მოლაპარაკების პირობებით, ალფ-არსლანმა რომანოზი ტყვეობიდან გაათავისუფლა მცირე აზიაში დიდი ტერიტორიების დათმობის სანაცვლოდ (კოპალიანი, 1968:278-279; ოთარაშვილი, მიქელაძე, 2020:113-114).

იმპერატორის დატყვევებით მარიამმა და მისმა მოკავშირეებმა ისარგებლეს, სახელმწიფო გადატრიალება მოაწყვეს და ტახტზე მიხეილ VII დასვეს (ოთარაშვილი, მიქელაძე, 2020:114).

XI საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში კიდევ უფრო გართულდა ბიზანტიის პოლიტიკური მდგომარეობა მცირე აზიაში. ფეხი მტკიცედ მოიკიდეს თურქ-სელჩუკებმა და 1077 წელს იკონიის ძლიერი სასულთნო ჩამოაყალიბეს, რომლის პირველი სულთანი სულეიმან ყუთულშის ძე იყო.

ანა კომნენეს გადმოცემით, იმპერიის აღმოსავლეთის სამხედრო ძალები მიმოფანტული იყო, ხოლო თურქები აფართოებდნენ თავიანთ სამფლობელოს და დაიკავეს თითქმის მთელი ტერიტორია, რომელიც ექვსინოს პონტოს, ეგეოსისა და სირიის ზღვებს, საროსსა და სხვა მდინარეთა შორის მდებარეობს.

საგარეო სირთულეებს, ისე როგორც ყოველთვის, ახლაც თან დაემთხვა შინაგანი ბრძოლა ბიზანტიაში, თავი წამოყვეს ტახტის პრეტენდენტებმა. მიხეილ დუკას მეფობის დროს ბიზანტიის სამეფო კარზე დიდ კარიერას მიაღწია ანგარებით განთქმულმა ნიკიფორემ, რომელიც ნიკიფორიცას სახელითაა ცნობილი. მან სამეფო კარზე პირველი მინისტრის თანამდებობაც ხელთ იგდო და მრავალგვარი უკანონო გადასახადი შემოიღო, რასაც შედეგად მოჰყვა პროვინციების მღელვარება.

ამასთანავე ნიკიფორიცას წაქეზებით მიხეილ დუკამ უნდობლობის თვალით დაუწყო ცქერა პროვინციის მრავალ მმართველს და მათ შორის დირრახიის, ანუ დრაჩის მმართველს ნიკიფორე ვრიენოსს და მის ძმას

იოვანეს. უკანასკნელებმა, რომელთათვისაც ცნობილი გახდა სამეფო კარის მათდამი განწყობილება, აჯანყება გადაწყვიტეს. მასთან კავშირი გაბა პაფლაგონიიდან კონსტანტინეპოლში მოსულმა ვასილაკმა. ამრიგად, ისევ დაიწყო ძლიერი სამხედრო პარტიის მოძრაობა ბიზანტიის სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად.

აღნიშნულმა პარტიამ ხელმძღვანელად ნიკიფორე ვრიენოსი აირჩია. უკანასკნელმა 1077 წელს ნოემბერში მეფედ გამოაცხდა თავი და შეთქმულებმა შეტევა დაიწყეს. მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებულებმა პირველ ხნებში დიდ წარმატებებს მიაღწიეს, მაინც შეძლო მათი დამარცხება სამეფო ლაშქარმა, რომლის ბრწყინვალე ხელმძღვანელი ალექსი კომნენოსი იყო.

ამ აჯანყების ჩაქრობისთანავე, 1078 წელს მეორე აჯანყებამ იფეთქა, რომელსაც ანატოლიის სტრატეგი ნიკიფორე ბოტანიატე ჩაუდგა სათავეში, მან ბიზანტიის კეისრად გამოაცხადა თავი და დედაქალაქის მიმართულებით შეტევა დაიწყო, ამასთანავე თურქ-სელჩუკთა რაზმები მოიწვია და მათი დახმარებით ხელთ იგდო ნიკეა და ქალკედონიას მიუახლოვდა.

მიხეილ დუკას ხელისუფლებას არ აღმოაჩნდა სათანადო ძალები შეტევაზე გადმოსულ ბოტანიატის ლაშქრის დსაპირისპირებლად, თუმცა, ალექსი კომნენოსმა, რომელსაც მაშინ აღმოსავლეთის სხოლათა დომესტიკოსის თანამდებობა ეკავა, წინადადებით მიმართა მიხეილს, რომ არსებული ძალებით დაერტყათ ბოტანიატისათვის მანამ, სანამ ის დედაქალაქს მოადგებოდა, მაგრამ მეფემ არ მიიღო ამ ჭკვიანი მხედართმთავრის სტრატეგიული გეგმა.

დედაქალაქშიც საქმე ბოტანიატის სასარგებლოდ განვითარდა; დაიწყო მოქალაქეთა აჯანყება, შეიჭრნენ სასახლეში და დაიკავეს იგი. მიხეილმა ჯერ ვლახერნში შეაფარა თავი, ხოლო შემდეგ 27 წლის ასაკში მყოფი, სტუდიის მონასტერში აღიკვეცა ბერად და ნიკიფორე ვრიენოსის გადმოცემით, ცოტა

ხნის შემდეგ, პატრიარქმა თომამ ეფესოს მიტროპოლიტად აკურთხა (გეორგიკა, 1966:156; კოპალიანი, 1968:289), რაც შეეხება მართა (მარიამ) დედოფალს, იგი ნებსით თუ უნებლიეთ ბიზანტიის სამეფო კარზე შექმნილ პოლიტიკურ მოძრაობაში ჩაება (კოპალიანი, 1968:289).

მართა-მარიამ დედოფალმა და მისმა ვაჟმა კონსტანტინემ პეტრეს სახელობის მონასტერს შეაფარეს თავი, ხოლო ბოტანიატი, რომელიც ბოლოს ალექსი კომნენოსმაც ცნო მეფედ კონსტანტინეპოლში შეიჭრა და 3 აპრილს სოფიის ტაძარში მეფედ ეკურთხა. ამ ამბის შემდეგ მარიამი თავის ვაჟ კონსტანტინესთან ერთად პეტრიწონის მონასტერში გაემგზავრა, თუმცა იგი მონაზვნად არ აღკვეცილა. იგი პეტრიწონში საიმპერატორო კარზე დაბრუნებისა და ვაჟისათვის ტახტის დაუფლების გეგმებს აწყობდა.

მართა-მარიამი და ნიკიფორე ბოტანიატე.

ნიკიფორე ბოტანიატესი გამეფებისთანავე არაერთ წინააღმდეგობას წააწყდა. იგი არ იყო სამეფო-საგვარეულოს შთამომავალი და ბიზანტიის სამეფო კართან არაფერი აკავშირებდა, ამიტომ მოწინააღმდეგეები ამას ბრძოლის საბაბად იყენებდნენ. პრობლემის გადასაჭრელად ტახტიდან წასული მიხეილ დუკას ბიძა იოვანე, რომელსაც სამეფო კარზე კეისრის თანამდებობა ეკავა, ურჩევს ბოტანიატეს, რომ მიხეილ დუკას მეუღლე მართა (მარიამი) შეირთოს ცოლად, რომელიც მონასტერში იყო თავშეფარებული. იოვანეს რჩევით ტახტის ახალმა მპყრობელმა სასახლეში დააბრუნა მართა-მარიამი და მისი შვილი კონსტანტინე (კოპალიანი, 1968:289).

ნიკიფორე ვრიენოსის გადმოცემით, ნიკიფორე ბოტანიატი უკვე მოხუცი იყო. ცოცხალი იყო აგრეთვე მართა-მარიამ დედოფლის პირველი ქმარი. ამ უხერხულობის გარდა, ნეოკესარიის საეკლესიო კრების დადგენილებით მესამე ქორწინება სასტიკად იკრძალებოდა. უფრო მეტი, ნიკიფორე აღმსარებლის (IX ს) მეორე კანონით, მეორე ქორწინებაც არ შეიძლებოდა.

ყოველივე ამის გამო, ნიკიფორე ბოტანიატი და მისი მრჩევლები დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ. განსაკუთრებით კი ეკლესიამ გაილაშქრა ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

მარიამმა თანხმობა განაცხადა ქორწინებაზე მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც ამას გ.გერცბერგი აღნიშნავს, ამით მას უნდოდა ტახტი შეენარჩუნებინა თავისი მცირეწლოვანი შვილისათვის, კონსტანტინესათვის.

საინტერესოა თუ როგორ ჩატარდა ამ უკანონო ქორწინების დროს ჯვრისწერის პროცესი, ნიკიფორე ვრიენოსი გადმოგვცემს, რომ როდესაც ბოტანიატმა მარიამზე დაქორწინება გადაწყვიტა, უკანასკნელი გამოიძახეს პეტრეს მონასტრიდან, პირველ ყოვლისა ნიშნობა ჩაატარეს, ხოლო შემდეგ წავიდნენ ჯვრისწერის შესასრულებლად და საკურთხევლის წინაშე დადგნენ. მაგრამ მღვდელს, რომელსაც ჯვრისწერა უნდა ჩაეტარებია *,,შეეშინდა დაქვეითებისა, რადგანაც მეფე (მიხაელ) დუკა, ქმარი (მარიამისა) და მეორე ცოლი ბოტანიატესი ჯერაც ცოცხლები იყვნენ. ეს რომ გაახსენდა და შეიგნო ისიც, თუ რა ცოდვას ჩაიდენდა მეძავეობისა და სამცოლიანობის კურთხევით, საკურთხევლიდან არ გამოდიოდა, აგვიანებდა ამ საქმეს. კეისარს ეშინოდა, რომ პატრიარქს არ გაეგო ამ ჯვრისწერის შესახებ და არ ჩაეშალა ეს ქორწინება. ევდოკიას მხარეზე არ გადახრილიყო. თავისი აზრების ხმამაღლა გამჟღავნება მას პრობლემის წინაშე დააყენებდა. ამიტომ თავისი მზერითა და ნიშნის მიცემით შვილიშვილს მიხეილ დუკას გააგებინა თუ როგორ უნდა ემოქმედა. ჭაბუკი... მიხვდა ყველაფერს და მეორე მღვდელი მოამზადა ჯვრისწერის შესასრულებლად, რომელიც მანამდე დამალული ჰყავდა. ხოლო თვითონ მიუახლოვდა საკურთხეველს და მოუხმო მღვდელს, რომელმაც ჯვრისწერის შესრულებაზე უარი თქვა. როცა მან ჰკითხა, თუ რატომ ეძახიან, მაშინ მიხაელმა წაავლო ხელი ტანსაცმელზე და ჩუმად გაიყვანა იქიდან, ხოლო მის ადგილზე დააყენა მეორე, რომელმაც შეასრულა მღვდელმსახურება“* (გეორგიკა, 1963:311-312).

2. მარიამის დედოფლის ბრძოლა შვილისათვის ბიზანტიის ტახტის მოსაპოვებლად

ნიკიფორე ბოტანიატის მეფობა უფრო უდღეური აღმოჩნდა ვიდრე მიხეილ დუკასი. ტახტის პრეტენდენტი ნიკიფორე ვრიენოსი ბოტანიატის წინააღმდეგაც განაგრძობდა ბრძოლას, როცა ალექსი კომნენოსის მეთაურობით (ალექსიმ მეორეჯერ გაუმართა ბრძოლა ვრიენოსს) ვრიენოსი დაამარცხეს, ვასილაკმა გააგრძელა მისი საქმე. ბრძოლიდან დაბრუნებულ ალექსი კომნენოსს მოსვლისთანავე უბრძანა ბოტანიატმა, რომ ვასილაკის წინააღმდეგ გამგზავრებულიყო. ალექსიმ შეასრულა ბრძანება, დაამარცხა ვასილაკის ძლიერი ლაშქარი, რომელიც ძირითადად ალბანელებისა და ნორმანებისაგან შედგებოდა, ტყვედ ჩაიგდო ვასილაკი და გამარჯვებული დაბრუნდა.

ეს ბრძოლები მეტად მკაცრი და გამანადგურებელი იყო. თუ ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგე ძალები ერთ უბანში მარცხდებოდნენ, სამაგიეროდ სხვა მხარეებში კიდევ უფრო ძლიერი ტალღის სახით წამოყოფდნენ თავს ცენტრის უკმაყოფილო ელემენტები. ასეთი მოვლენები პერმანენტულად იყო ბიზანტიაში და გარეშე მტრების ძლიერი შეტევის პირობებში იგი საბედისწერო იყო სახელმწიფოსათვის.

ბოლოს, 1080 წლის დასასრულს ძლიერი აჯანყება მოხდა მცირე აზიაში, რომლის სათავეში ალექსი კომნენოსის დის, ევდოკიას ქმარი ნიკიფორე მელისინი ჩადგა. მანაც მეფედ გამოაცხადა თავი და ძლიერი შეტევა დაიწყო მიზნის მისაღწევად. როცა ბოტანიატმა ალექსი კომნენოსს უბრძანა მელისინის წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურობა. ალექსიმ უხერხულად ჩათვალა ამ მოვალეობის შესრულება და სთხოვა მეფეს თავიდან აეცილებია მისთვის ეს საქმე (კოპალიანი, 1968:292)

სწორედ ამიერიდან უნდა ჩატეხილიყო ხიდი ბოტანიატსა და ალექსი კომნენოსს შორის, იწყება ბოტანიატის ხელისუფლების წინააღმდეგ საიდუმლოებით მოსილი ბრძოლა კომნენოსთა სახლის წევრებისა.

როგორც აღნიშნული იყო მართა-მარიამ დედოფალი იმ პირობით დაქორწინდა ბოტანიატზე, რომ მის შვილს ბიზანტიის იმპერატორის ტახტს შეუნახავდნენ. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ბოტანიატს ტახტის მემკვიდრედ თურმე სინადინების საგვარეულოს წარმომადგენელი უნდა დაეტოვებინა.

როცა მართა-მარიამმა გაიგო მისი მეუღლის განზრახვა, დაუყონებლივ დაიწყო ძლიერი მოკავშირის ძებნა და არჩევანი, რა თქმა უნდა, კომნენოსთა სახლის წევრებზე შეაჩერა. უკანასკნელებს სასახლის მოხელეთა ინტრიგებიც უკარნახებდათ ფრთხილად ედევნებინათ თვალი მოვლენებისათვის. თუ ანა კომნენეს დავუჯერებთ, როცა ძმებმა ისაკმა და ალექსი კომნენოსებმა სამეფო კარზე დიდი ავტორიტეტი მოიპოვეს, მეფის ორმა მინისტრმა, წარმოშობით სლავებმა, ვორილმა და გერმანმა კომნენოსთა დაღუპვა განიზრახეს, რაც უკანასკნელთათვის ცნობილი გახდა. ამ საფრთხის თავიდან აცილება სლავი მინისტრების განდევნით შეიძლებოდა და ამის განხორციელება კი იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ ტახტი კომნენოსთა ხელში გადავიდოდა, რა თქმა უნდა, როცა პოლიტიკურ ბრძოლაზე და დაჯგუფებაზეა ლაპარაკი, აქ მარტო სლავი მინისტრები არ უნდა იგულისხმებოდეს.

ჯერ კიდევ მიხეილ დუკას მეფობის დროს კომნენოსთა სახლი მართა-მარიამ დედოფლის საგვარეულო სახლს დაუნათესავდა და ეს გარემოებაც აახლოებდა ბიზანტიის ქართველ დედოფალს კომნენოსთა სახლთან.

კომნენოსთა სახლის წევრებს მართა-მარიამ ბაგრატიონის ასულთან დაახლოება იმიტომაც აინტერესებდათ, რომ ბიზანტიის სამეფო ტახტი მართას შვილს, კონსტანტინეს ეკუთვნოდა. დედოფალსა და ტახტის მემკვიდრეს, ჩანს, საკმაოდ ძლიერი პარტიაც უჭერდა მხარს და ეს

გარემოებაც შორსმჭვრეტელ კომნენოსებს გამოსაყენებელ და ანგარიშგასაწევ მოვლენად ეხატებოდათ (კოპალიანი, 1968:293)

კომნენოსებმა გადაწყვიტეს კიდევ უფრო ახლო ნათესაური კავშირი დაემყარებინათ მართა-მარიამ დედოფალთან. ანა კომნენეს გადმოცემით, სასახლის კარის ქალთა წრის საშუალებით დააყენეს საკითხი დედოფლის წინაშე, რომ ძმები კომნენოსებიდან ყველაზე უფრო ჭკვიანი და გამჭრიახი, ალექსი, მას შვილად აეყვანა, რაზედაც მართა-მარიამი დათანხმდა.

ამ შეთანხმებას გარკვეული პოლიტიკური მიზანი ჰქონდა, მას კომნენოსთა სახლის წევრის მიერ ბიზანტიის სამეფოს ტახტის დაკავება ჰქონდა მიზნად დასახული და მაშინდელ პოლიტიკურ ვითარებაში ამის განხორციელება ორივე მხარისათვის ხელსაყრელი იყო: კომნენოსთა სახლის წევრებს ტახტის დასაპატრონებლად კონსტანტინე უფლისწულის უფლებები და დედოფლისა და ტახტის მემკვიდრის ძლიერი პარტიის დახმარება ესაჭიროებოდათ, ხოლო მიზნის განხორციელების შემთხვევაში, დედოფლისა და ტახტის მემკვიდრის წარმოდგენით, კონსტანტინე უფლისწულს გამეფებული კომნენოსი ტახტს შეუნახავდა.

ამასთანავე წინასწარ უნდა ყოფილიყო შეთანხმებული ისიც, რომ მართა-მარიამის ღირსება და უფლებები, როგორც მეფის დედისა და ბიზანტიის დედოფლის, დაცული იქნებოდა.

ანა კომნენეს გადმოცემით, ერთ დღეს, დღესასწაულზე როდესაც ძმები ისაკი და ალექსი მეფის სასახლეში იმყოფებოდნენ, ძველთაგან დადგენილი წესისი მიხედვით (წესის თანახმად შვილად აყვანა ხდებოდა ეკლესიაში მღვდლის წინაშე. ამ შემთხვევისათვის მომზადებული ლოცვის შესრულებით. შვილად ასაყვანს ხელში ეჭირა ანთებული სნთელი, რომელზედაც შვილად ამყვანს გადაფარებული ჰქონდა თავისი წამოსასხამი) მოხდა შვილად აყვანა; მარიამმა იშვილა ალექი კომნენოსი. ამ გარემოებამ, განაგრძობს ანა კომნენე,

შემდეგ დასავლეთის ჯარების დიდ დომესტიკოსს (ალექსის) ბევრი დარდი და საზრუნავი ააცილა თავიდანო. ალექსის შვილად აყვანის შემდეგ კომნენოსებს შეეძლოთ მთელი თავიანთი გეგმა წარედგინათ მარიამისათვის (კოპალიანი, 1968:294)

ანა კომნენეს შრომიდან არ ჩანს, თუ როგორ შეხვდა თვით ნიკიფორე ბოტანიატი კომნენოსთა სახლისა და მართა-მარიამ დედოფლის ამ დაახლოებას, მაგრამ ნათლად ჩანს, რომ ამიერიდან ისაკი და ალექსი სასახლის უფრო ხშირი სტუმრები გახდნენ. ამასთანავე ანას მოთხრობიდან ისიც იგრძნობა, რომ დედოფალს ეჭვი ეპარებოდა კომნენოსების გულწრფელობაში, თუმცა ეს უკანასკნელები ერთგულებას ეფიცებიან მართა-მარიამ დედოფალს, რომ მის შვილს კონსტანტინეს არ დაეკარგებოდა მეფობა. ამტკიცებდნენ, რომ მისი კეთილდღეობისათვის იზრუნებდნენ: ,,***შენ ხარ ჩვენი ქალბატონი , ჩვენ კი შენი უერთგულესი მსახურნი, რომელნიც მზად ვართ შენი მეუფებისათვის ყველაფერი ავიტანოთ. დე, ნუ გაშფოთებდეს შენ ნურავითარი ფიქრი, დე ნუ აღელვებდეს შენს გულს ეჭვები“*** (კომნენე, 1966:53). კომნენოსები არწმუნებდნენ დედოფალს, რომ მისი და კონსტანტინეს უფლებების დასაცავად ყველაფერზე წავიდოდნენ.

მარიამ დედოფალისა და კომნენოსების მიზნები, რომელიც მიმართული იყო ბოტანიატეს წინააღმდეგ ერთმანეთს ემთხვეოდა, ამიტომ მათ ერთობლივად დაიწყეს შეთქმულების მზადება. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ხელსაყრელი დრო იდგა. 1081 წლის ზამთარში, თურქ-სელჩუკებმა დაიწყეს ძლიერი შეტევა ბიზანტიის წინააღმდეგ და ქ.კვიზიკი აიღეს. შეშფოთებულმა ნიკიფორე ბოტანიატეს ხელისუფლებამ მათ წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურობა დასავლეთის დიდ დომესტიკოს ალექსი კომნენოსს მიანდო. ძმებმა კომნენოსებმა ეს მომენტი ხელიდან არ გაუსვეს. ანა კომნენეს გადმოცემით, ახლა განსაკუთრებით გააძლიერეს ურთიერთობა მარიამ ბაგრატიონის ასულთან და არწმუნებდნენ მას, რომ ისინი მისი

ბედისათვის ზრუნავდნენ. როგორც ჩანს, დიდი ხნის წინ ჰყავდათ მოსამსახურეებიც მათ მხარეზე გადაბირიებულები.

თუმცა ამავე დროს, იგივე ავტორის გადმოცემით, კომნენოსებს აცნობეს, რომ მეფის მინისტრებს ვორილსა და გერმანს განზრახული აქვთ ხელთ იგდონ ძმები კომნენოსები და თვალები დასთხარონ მათ, ე.ი. გაძლიერდა ინტრიგები სასახლეში კომნენოსთა წინააღმდეგ.

როცა ნიკიფორე ბოტანიატმა უბრძანა ალექსი კომნენოსს, რომ გარკვეული ჯარის ნაწილებით თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ (კოპალიანი, 1968:295) გამგზავრებულიყო, ალექსიმ ისარგებლა ამით და მის განკარგულებაში მყოფი დასავლეთის სხვა ძლიერი ნაწილებიც გამოიძახა, რათა თავისი მიზნისათვის, ტახტის ხელში ჩასაგდებად გამოეყენებინა ისინი, მაგრამ ვორილმა დაუყოვნებლივ აცნობა ეს ამბავი ბოტანიატს და ამიერიდან კიდევ უფრო გაძლიერდა საიდუმლო მოძრაობა კომნენოსთა წინააღმდეგ. რომელსაც ვორილი და გერმანი მეთაურობდნენ. სამეფო კარის მოხელეებს შესაძლებელია ადვილად მოეხერხებინათ კომნენოსთა დაღუპვა, მაგრამ ეს ამბავი დაუყოვნებლივ აცნობა ალექსის ერთ-ერთმა ალანმა, რომელსაც მაგისტრის ჩინი ჰქონდა და ბიზანტიის სამეფო კარზე შინაურ კაცად იყო მიჩნეული. ანა კომნენე პირდაპირ მიუთითებს, რომ ამ საფრთხის შესახებ ალექსი კომნენოსისათვის ცნობის მიწოდებაში მართა დედოფლის ხელი ერია. ალანი მაგისტრის წასვლა ალექსისთან და საფრთხის შეტყობინება მართა ბაგრატიონის ასულის გარეშე არ მომხდარა. არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობაც, რომ ეს ალანი მაგისტრი ირინეს (ისაკის მეუღლე) საშუალებითაც იყო დაკავშირებული კომნენოსთა სახლთან (კოპალიანი, 1968:296).

როცა ალექსისათვის ყველაფერი ცნობილი გახდა, დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, თანამოაზრეებთან მოთათბირების შემდეგ იგი პირველ რიგში

მიდის ქართველ მხედართმთავართან, გრიგოლ ბაკურიანის ძესთან, რომელმაც გულდასმით მოუსმინა მას და შემდეგ ყოველგვარი დახმარება აღუქვა. ამასთანავე სწრაფი მოქმედება ურჩია და თან გააფრთხილა, რომ თუ ალექსი მოქმედებას დააყოვნებს, თვით გრიგოლი მოახსენებს მეფეს ალექსისა და მისი თანამოაზრეების განზრახვის შესახებ.

გრიგოლ ბაკურიანის ძე საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა ბიზანტიის ისტორიაში, მამამისი, დავით კურაპალატის ქვეშევრდომი, ქართველი დიდი აზნაური იყო.

გრიგოლმა და ალექსიმ ერთგულების ფიცი მისცეს ერთმანეთს, ამასთანავე აქვე შეთანხმდნენ, რომ გამარჯვების შემთხვევაში გრიგოლ ბაკურიანის ძე დასავლეთის დიდი დომესტოსის თანამდებობას მიიღებდა, ე.ი. ალექსი კომნენოსის თანამდებობას დაიკავებდა.

ყველივეს, რაც ამ დროს ბიზანტიაში ხდებოდა, ჩანს, საქართველოს მმართველი წრეები თვალყურს ადევნებდნენ ეს არის,,დიდი თურქობის“ ხანა, როცა თურქ-სელჩუკები ,,მოეფინნეს პირსა ყოველსა ქუეყანასა, ვითარცა მკალი“.

დავითის ისტორიკოსი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ამ დიდი გაჭირვების დროს ***,,არა-სადათ იყო ღონე Ãსნისა და შეწევნისა, არცარა დამÃსნელი ამათ ძჳრთა, რომელ მოეცვა პირი ყოვლისა ქუეყანისა, რამეთუ ძალი ბერძენთაცა შემცირებულ იყო, და რომელნი ქუეყანანი მათ აღმოსავლეთს ჰქონდეს ზღუასა გარეთ, ყოველნი თურქთა დაეპყრა“*** (ქცა, 1958:319).

ალექსი კომნენოსი და მისი თანამოაზრეები კონსტანტინეპოლიდან გაიქცნენ, თრაკიაში მივიდნენ, აჯანყებულთა მთავარ ბაზად დაბა ცურული აქციეს, ლაშქრის კონცენტრაცია მოახდინეს და შემდეგ დედაქალაქი აიღეს (კოპალიანი, 1968: 297)

ამრიგად ალექსი კომნენოსმა ტახტი ჩაიბარა, ხოლო ბოტანიატე, 1081 წლის 1 აპრილს, აიძულეს ბერად აღკვეცილიყო. ამ მოვლენას, ისე როგორც ყოველთვის ანალოგიურ შემთხვევას, თან ახლდა სისხლისღვრა და შფოთი. ბულგართა, სლავთა, ბერძენთა ძლიერი რაზმები, რომლებიც ალექსის უჭერდნენ მხარს და ხარსიანის კარებით დედაქალაქში შეიჭრნენ, დაუზოგავად გაძარცვეს და გაანადგურეს ყველაფერი.

საყურადღებოა, რომ ამ რთულ დღეებში, მართა-მარიამ დედოფალი თავის შვილთან, მცირეწლოვან კონსტანტინესთან ერთად სასახლეში იყო და ფეხი არ მოუცლია. ანა კომნენე ამას იმით ხსნის, რომ უცხოობაში მყოფ ქალს, რომელსაც არ ჰყავდა თანამგძნობი, არ სურდა უმისამართოდ გამოსულიყო სახლიდან, რათა მის ვაჟს უბედურება არ შემთხვეოდა, რომელიც ყოველთვის თან სდევს ასეთ მოვლენასო.

სავარაუდოდ მარიამ დედოფლის ასე მშვიდად ყოფნა იმის შედეგიც უნდა ყოფილიყო, რომ კომნენოსთა გეგმა მისთვის წინასწარ იყო ცნობილი, იგი ამ გეგმის შედგენა-განხორციელების მონაწილეც იყო და მისთვის მოულოდნელი არაფერი იქნებოდა. შეთქმულთა მიზნების განხორციელება მას საფრთხეს არ უქმნიდა.

ალექსის იმპერატორად კურთხევის დროს კონსტანტინე ჯერ კიდევ შვიდი წლის იყო. ანა კომნენეს თქმთ იგი გამოირჩეოდა თავისი მომხიბლველობით: ***,,თვით საქმის არსებითი მხარე მათქმევინებს ამას, არა მარტო სიტყვა-პასუხით, არამედ როგორც შემდეგში ამბობენ მომსწრეები, ყოველგვარი მოძრაობით და ხერხებით, რომლებსაც თამაშის დროს იყენებდნენ; თმის და კანის ფერით ის იყო ქერა, რძესავით თეთრი, დაბრაწული, და ჰგავდა კვირტებიდან ახლად გამოსულ ვარდებს. ხოლო თვალები ღია ფერისა კი არ ჰქონდა, არამედ შევარდნის თვალებს ჰგავდნენ და***

ისე ბრწყინავდნენ წამწამებიდან, როგორც ოქროს ბუდიდან“ (კომნენე, 1966:63-64)

როცა ალექსი კომნენოსმა ტახტი ჩაიბარა, მართა-მარიამ დედოფალმა მოსთხოვა მას წითელი მელნით ხელმოწერილი ოქრობეჭედი, რომლის თანახმად მის შვილს კონსტანტინეს და თვით მას, მართა-მარიამ დედოფალს, არამცთუ ხელს არ ახლებდნენ, არამედ კონსტანტინეს ალექსის თანამეფედ გამოაცხადებდნენ, რომელსაც უნდა დაედგა გვირგვინი და ეტარებინა წითელი წაღები (კოპალიანი, 1968:298)

წყაროები მიგვითითებს, რომ ალქსი კომნენოსმა უყოყმანოდ შეასრულა მართა-მარიამ დედოფლის ეს მოთხოვნა. ტახტის მპყრობელს ამის შესრულებაზე ის აიძულებდა, რომ ჯერ ერთი იგი უდაოდ წინასწარ იყო შეთანხმებულ და, რაც მთავარია, ტახტის მემკვიდრისა და მართა-მარიამ დედოფლის ძლიერი პარტიის მხარდაჭერა ჯერ კიდევ ესაჭიროებოდა კომნენოსებს.

მართა-მარიამ დედოფლისა და კონსტანტინე უფლისწულისადმი მიცემული პირობა რომ ეჭვმიუტანელი ყოფილიყო, ალექსი კომნენოსმა თავისი მცირეწლოვანი ქალიშვილი ანა კონსტანტინე დუკასზე დანიშნა. ბიზანტიის მომავალ დედოფლად აღიარა და ამიერიდან იგი მართა-მარიამ დედოფლის ზედამხედველობით სპეციალურად სადედოფლოდ იზრდებოდა. მაგრამ შემდეგ ალექსი კომნენოსმა ტახტის მემკვიდრედ თავისი შვილი იოანე გამოაცხადა, ამიტომ იყო, რომ, ანა კომნენეს ცნობით, მარიამი შემდეგ ალექსის საწინააღმდეგო შეთქმულების მონაწილე აღმოჩნდა. კონსტანტინეც მალე გარდაიცვალა და მართა-მარიამ დედოფალსა და მისი სარძლოს იმედებიც აღარ გამართლდა.

ალექსი კომნენოსმა ტახტზე ასვლისთანავე გრიგოლ ბაკურიანის ძეს დასავლეთის დიდი დომესტიკოსის თანამდებობა ჩააბარა, გრიგოლმაც, ამ

ნიჭიერმა მხედართმთავარმა, უდიდესი სამსახური გაუწია ბიზანტიის სამეფო კარს. იგი დასაყრდენი იყო ალექსი კომნენოსისათვის თითქმის ყველა დიდ ბრძოლაში.

იმის გასათვალისწინებლად, თუ რაოდენ თავდადებულად ემსახურებოდა გრიგოლ ბაკურიანის ძე ბიზანტიის სამეფო კარს, ჩანს თვით გრიგოლის სიტყვებშიც: ***მამულები და ქონება, რომლებიც პეტრიწონის მონასტერს მოვახმარე, ,,მოგვენიჭა ჩვენ ჩვენი თვითმპყრობელი მეფეების სარწმუნო და პატიოსანი ოქრობეჭდით ნაცვლად ჩემი მრავალი დიდი სისხლისმღვრელი ბრძოლებისა და მსახურებისა, რომელიც მე გავწიე ჭაბუკური ასაკიდან დაწყებული ვიდრე აწინდელ სიბერემდე. არასოდეს არ დამიზოგავს სისხლი ჩემი, არც ჩემთან მყოფ ნათესავებისა, აგრეთვე არც ჩემი ხელქვეითი მრავალი ერისა, რომ კარგად ყოფილიყო მათი მეფობის ძალაუფლება, როდესაც მე მებრძანა, როგორც აღმოსავლეთის ისე დასავლეთის მხარეებში სამსახური გამეწია რომაული სახელმწიფოსათვის, ისე რომ საშინელ ტყვეობაშიც ჩავვარნილვარ არა მცირედი ნათესავებითურთ და ერთგული მახლობლებითურთ: ყველა ესენი ჩემთან ერთად წარმართთა ხელში მოხვედრილან, თუ ვიტყვი იმასაც, რომ იშვიათად თუ ვინმე ჩვენი ტომისაგანი და ღვთივ ჩაგონებული სიყვარულით მსახურთაგანი საკუთარ სარეცელზე ბუნებრივი სიკვდილით მომკვდარა, - არ ვიტყუებ: ყველამ თავისი სისხლი დაღვარა... საბერძნეთის მტერთა მახვილით და ხელითო“*** (გეორგიკა, 1963:119).

ამ ცნობაში ბევრი რამ არის საყურადღებო. ჩანს, არა მარტო გრიგოლ ბაკურიანის ძე, არამედ ბევრი სხვა ქართველიც იმყოფებოდა ბიზანტიის სამსახურში XI საუკუნის მეორე ნახევარში. აქ, იბერიის თემში, საკატეპანიში მცხოვრები ქართველებიც იგულისხმებიან. გრიგოლ ბაკურიანის ძის მოღვაწეობისა და თავგადასავლის შესახებ ჩვენ ყველაფერი არ შემოგვინახა წყაროებმა. აქ მოტანილი ცნობიდან კი ირკვევა, რომ იგი ბრწყინვალე მხედართმთავრის როლს ასრულებდა ბიზანტიის ლაშქარში როგორც

აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ფრონტზე, რაზედაც ანა კომნენეც მოგვითხრობს (კოპალიანი, 1969:301). ბიზანტიის კეისრების სამსახურით დაიწყო გრიგოლმა თავისი კარიერა და მათვე შესწირა თავისი სიცოცხლე.

ბიზანტიის ხელისუფლება არამცთუ ქართველების სახით ეძებდა და პოულობდა კიდეც ამ გაჭირვების დროს დამხმარესა და მოამაგეს, არამედ ქართველთა ნათესავებშიც ნახულობდა იგი მომხრეებს. XI საუკუნის 80-იანი წლების პირველ ნახევარში თურქთა დიდ სულთანს თავისი ძმა თუთუსი აუჯანყდა, რომელმაც 1084 წელს ხელთ იგდო ალეპო, ანტიოქია და მთელი სირია. როდესაც სულთანი ამის გამო დიდ საფრთხეში აღმოჩნდა, მან ბიზანტიის კეისარს, ალექსი კომნენოსს ელჩი, ვინმე სიაუში გაუგზავნა და თავისი ეპისტოლეთი სთხოვა კეისარს, რომ შეკრან ურთიერთშორის ნათესაური კავშირი და თუ კეისარი ამაზე დათანხმდება, სულთანი გაიყვანს თურქებს შავი ზღვის სანაპიროდან.

როგორც ჩანს, სიაუში მეტად სანდო კაცად მიაჩნდა დიდ სულთანს და თითქოს ბრძანებაც კი გაუტანებია მისთვის თურქთა მიერ დაკავებული მცირე აზიის ზოგიერთი სანაპირო ქალაქის თურქი მმართველების მიმართ ამ ქალაქების დაცლის შესახებ, მაგრამ სიაუშს ამ ბრძანების სისრულეში მოყვანისათვის მხოლოდ მას შემდეგ უნდა ეზრუნა, როცა სულთნის მოთხოვნებს კეისარი დააკმაყოფილებდა.

ანა კომნენე მიუთითებს, რომ როცა ალექსიმ ელჩი მიიღო და მასთან საუბარი გამართა, მისი სახით ჭკვიანი კაცი დაინახა და სთხოვა მას ეამბა კეისრისათვის თავისი ვინაობა. საუბრის დროს გამოირკვა, რომ ელჩი სიაუში დედით ქართველი, იბერიელი იყო. ამის შემდეგ ალექსი შეეცადა თავის მხარეზე გადაეყვანა იგი და გაქრისტიანებაც შესთავაზა მას, უკანასკნელი დაეთანხმა კეისარს, მაგრამ თან დასძინა, რომ მისი დაბრუნება სულთანთან შეუძლებელი იქნებოდა.

კეისრის მიზანი, როცა ის სიაუშს თავისი წინადადებით მიმართავდა, ის იყო, რომ სულთნის მიერ სიაუშისათვის გამოტანებული წერილობითი ბრძანებით ესარგებლა და შავი ზღვის ზოგიერთი სანაპირო რაიონიდან თურქები გაედევნა. მართლაც, თუ ანა კომნენეს დაეჯერება, კეისარმა და მის მხარეზე გადასულმა ქართველთა სახლიშვილმა მოხერხებულად გამოიყენეს სულთნის ეს წერილობითი განკარგულება, სიაუში დაუყონებლივ გაემგზავრა ქ. სინოპაში, წარუდგინა სულთნის ბრძანება ამ ქალაქის თურქ მმართველს ხარატიკს, რომელსაც ახლად დაპყრობილი ჰქონდა ეს მხარე, გააძევა ის იქედან და მის მაგივრად მხარის მმართველად კონსტანტინე დალასანოსი დანიშნა. ასევე მოიქცა სიაუში ბევრი მხარისა და ქალაქის მიმართ და იქედან გააძევა თურქებიო. (კოპალიანი, 1969:302)

1086 წელს ფილიპოპოლისა და მისი მოსაზღვრე რაიონების ,,მწვალებელთა“ დიდი ტალღა გამოვიდა ბიზანტიის წინააღმდეგ პავლიკიანთა და სხვათა სახით. ,,მწვალებელთა“ ბელადები პაჭანიკებს დაუკავშირდნენ და ბიზანტიის სამფლობელოების რბევა დაიწყეს. ალექსი კომნენოსმა მათ წინააღმდეგ ბრძოლა დასავლეთის დიდ დომესტიკოს გრიგოლ ბაკურიანის ძესა და მის მოადგილეს ვრანს დაავალა. ანა კომნენე მიუთითებს რომ როდესაც ბაკურიანის ძემ თავისი ლაშქარი საბრძოლოდ განაწყო და ამავე დროს შეისწავლა, რომ მტერს მეტად ხელსაყრელი სტრატეგიული ადგილები უკავია და ამასთანავე იგი რიცხობრივად დიდად აღემატება ბიზანტიელთა ლაშქარს, გადაწყვიტა, ჯერჯერობით არ ჩაბმულიყო პირდაპირ ბრძოლაში, შეენახა თავისი ძალები, მაგრამ ვრანი ამ მოსაზრების წინააღმდეგ გამოსულა.

იგივე ავტორის ცნობით, როცა ვრანი ბაკურიანის ძის სტრატეგიული გეგმის წინააღმდეგ წავიდა და ბრძოლის დაწყება მოითხოვა, ბაკურიანის ძე დააფიქრა ამ გარემოებამ, სიმხდალე არ დამწამონო, და გასცა ბრძანება საომრად მომზადებისა და მოქმედების შესახებ.

ბრძოლის დაწყებისთანავე აშკარა გახდა, რომ გრიგოლ ბაკურიანის ძე სრულიად მართალი ყოფილა, როცა იგი მტრის პირდაპირ შეხვედრას ერიდებოდა. რიცხობრივად დიდი უპირატესობის მქონე მტრის ლაშქარმა გაიმარჯვა და გრიგოლიცა და ვრანიც ამ ბრძოლის მსხვერპლი გახდნენ.

ანა კომნენე შესანიშნავად აღგვიწერს, თუ რაოდენ დიდი გლოვა გამოიწვია ბიზანტიის სამეფო კარზე ამ დამარცხებამ და გრიგოლ ბაკურიანის ძის დაღუპვამ. როცა ეს ამბავი ალექსი კომნენოსმა გაიგო, განსაკუთრებით ბევრი ცრემლი დაღვარა დიდი დომესტიკოსის, გრიგოლ ბაკურიანის ძის დაღუპვის გამო (კოპალიანი, 1969:303).

ალექსი კომნენოს რთულ ვითარებაში მოუწია ტახტის დაკავება. იგი ებრძოდა ქვეყნის შიგნით ოპოზიციას. მის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა რამდენიმე შეთქმულებას. ერთ-ერთი ასეთი შეთქმულება მოეწყო ქალაქ სერთან (კონსტანტინეს სააგარაკე მამულითან ახლოს) ნიკიფორე დიოგენეს (ნიკიფორე დიოგენე, მართას პირველი მეუღლის მიხეილ დუკას ნახევრძმა იყო) ორგანიზებით 1094 წელს. შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდა მთელი ბიზანტიური ელიტა. შეთქმულებს შორის ფიგურირებდა მართა დედოფალიც. შეთქმულებაში მისი მონაწილეობის მიზეზი ალექსი კომნენოსის მიერ შვილის, იოანეს თანამმართველად გამოაცხადება იყო. ანა კომნენეს გადმოცემით დედოფალს სურდა შვილის მემკვიდრეობის შენარჩუნება და არა ვინმეს სიკვდილში მონაწილეობის მიღება. მითუმეტეს, რომ ალექსისთან დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებდა.

კონსტანტინეს სააგარაკე მამულში, მეფის აბანოში შეპარული დიოგენე, რომელსაც განზრახული ქონდა ალექსი კომნენოსის მოკვლა, მსახურმა იპოვა. გაცხადდა შეთქმულების არსებობა. მხილებული პირები, მკაცრად დაისაჯნენ. მართა დედოფალი კი გადაასახლეს პინკრიპოს კუნძულზე. მოგვიანებით კი, როდესაც გარდაიცვალა ახალგაზრდა კონსტანტინე დუკა, მართამ შეწყვიტა

ბრძოლა პოლიტიკურ სივრცეში, ვინაიდან შვილის დაკარგვა დიდი დანაკლისი აღმოჩნდა მისთვის და მას არ ჰქონია ბრძოლის გაგრძელების მიზანი (მასურაშვილი, 2019:35-36).

თავი IV

მართა-მარიამი ეკლესია-მონასტრების, საგანმანათლებლო კერების მფარველი და აღმშენებელი

შუა საუკუნეების საქართველოში ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში სწავლა-განათლების, მეცნიერების, მწერლობის, ხელოვნების, და საერთოდ, კულტურის ცენტრებს ეკლესია-მონასტრები წარმოადგენდნენ. აქ ქართველი ბერების მიერ იწერებოდა ორიგინალური თხზულებები, ითარგმნებოდა უცხოური ძეგლები, მრავლდებოდა ხელნაწერები, მდიდრდებოდა ეროვნული კულტურის საგანძური. მონასტრებთან არსებობდა სკოლები სადაც მონასტრის ახლოს მცხოვრები ბავშვები სწავლობდნენ. ,,გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ მონასტერში კარგად მომზადებული ,,მოძღუარნი“ ეწეოდნენ პედაგოგიურ მოღვაწეობას. აქ ისწავლებოდა თეოლოგია, ჰიმნოგრაფია, გალობა, ლიტერატურა, ქართული მწიგნობრობა. XI-XIII სს საქართველოში სასკოლო განათლების დაწინაურებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ამ პერიოდში ქართველები სასწავლებლად ბიზანტიაში მიდიოდნენ და კარგად გაიცნეს ბიზანტიური სკოლა. მაგ. გიორგი მთაწმინდელმა ბიზანტიაში სასწავლებლად წაიყვანა 80 ყმაწვილი, ხოლო სომეხი ისტორიკოსის ვარდან დიდის ცნობით - დავით აღმაშენებელმა საბერძნეთში გააგზავნა 40 ახალგაზრდა იქაურ სკოლებში სწავლის მისაღებად. ბუნებრივია უნდა ვიფიქროთ, რომ მათგან გარკვეული ნაწილი მაინც დაბრუნდებოდა საქართველოში და აქ სკოლებს ისინი ბიზანტიის მიბაძვით მოაწყობდნენ. ადრეული ხანის დიდ მონასტრებს ხშირად ახლავს ფართო მოცულობის მქონე შენობები, რომლებიც ექ.თაყაიშვილის დაკვირვებით სემინარიებისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. მონასტრების ასეთი მნიშვნელობის გამო, მტრებისაგან შევიწროვებულ საქართველოში საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობას

ქართველების გადარჩენისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა (ნადირაძე, 2012:41).

ქართველ დედოფალთა გალერეაში, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული ეკლესიების აღორძინების საქმეში შინ თუ გარეთ, ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია მარიამს, რომლის შთაგონებითაც დავით აღმაშენებელმა გელათისა და იყალთოს აკადემიები დააარსა, სადაც მაშინდელი მსოფლიოს უდიდესი სამეცნიერო, ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო, ასევე უძველესი ბერძნული თუ სხვა ცივილიზაციას შემორჩენილი ლიტერატურა ითარგმნებოდა ქართულ ენაზე.

მარიამ დედოფლის დახმარებით აგზავნიდა დავით აღმაშენებელი გელათისა და იყალთოს აკადემიის წარჩინებულ მოწაფეებს უცხოეთში, რათა მიეღოთ საუკეთესო განათლება და შემდეგ ისევ სამეფო სამსახურში ჩამდგარიყვნენ. მარიამ დედოფალმა გამოუგზავნა დავით აღმაშენებელს გელათის აკადემიისათვის ხახულიდან ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, რომელიც საქართველოს ისტორიაში ხახულის ხატის სახელით შევიდა.

მარიამ დედოფალი ძმისწულს დიდ დახმარებას უწევდა საეკლესიო რეფორმების გატარებაში, სწორედ მისი რჩევით 1104 წელს დავით აღმაშენებელმა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება მოიწვია. მარიამ დედოფალი იყო ერთადერთი მანდილოსანი, რომელიც ამ ისტორიულ მოვლენას ესწრებოდა. იგი სპეციალურად ჩამოვიდა ბიზანტიიდან, რადგან აღელვებდა საქართველოს სასულიერო ფენებში გაბატონებული ანარქია. ამ ისტორიულ კრებაზე იქნა მიღებული ძეგლისწერა. კრებამ გადააყენა უღირსი მღვდელმთავრები, მოწესრიგდა ხელდასმის წესი და საეკლესიო ცხოვრების ბევრი სხვა საკითხი.

ბიზანტიის ქართველ დედოფალს მარიამს, უცხო ქვეყნის მიწაზე, ქართული ეკლესია-მონასტრების აღორძინების საქმეშიც განსაკუთრებული როლი მიუძღვის. ამის ნათელი მოწმობაა პალესტინის ქართულ სავანეებსა და იერუსალიმის დედათა მონასტერში მართა-მარიამის სახელის მოხსენიება. მას

ახლო ურთიერთობა ქონდა ბიზანტიაში მოღვაწე ქართველ ბერებთან. აღსანიშნავია, რომ მართა-მარიამ დედოფალი და მისი შვილი კონსტანტინე ყურადღების გარეშე არ ტოვებდა და ეხმარებოდა ათონის მთაწმინდის ქართველთა მონასტერს. გაათავისუფლა გადასახადებისაგან, უფრო მეტიც მან მონასტერს შესწირა ადგილ-მამულები. ამის შესახებ ამ მონასტრის ერთ-ერთ აღაპში ნათქვამია: ***,,აღაპი არის დედოფლისა ჩუენისა მარიამ მართა ყოფილისა და ძისა მათისა კონსტანტინე პორფიროგენისა: დიდთა და მრავალთა ქველმოქმედებათა მათთათვს, რომელ აჩუენნეს ჩუენ ზედა: პირველად განგუათავისუფლეს სიკრიტონისგან, რომელნი მე სოლომნისათჳს გუთხოვდეს ხუთსა ლიტრასა, მათ მისცეს განზი ესე და აღმოჴოცეს სოლიმნი სიკრიტონისაგან და კუალად სხუათა პრასტინთათჳს დიად იღუაწეს მეფეთა ტანა, და მერე მოსცეს ძმათა გასაყოფლად ლიტრა...“*** (კოპალიანი, 1969:300). საყურადღებოა, რომ ათონის მთაწმინდის ქართველთა მონასტერს ხშირად არც კეისრები აკლებდნენ მზრუნველობას, ნიკიფორე ბოტანიატმა მონასტერს მამულები გადასცა, ალექსი კომნენოსმა კი ათონის მთაწმინდა კონსტანტინეპოლის პატრიარქისაგან დამოუკიდებლად გამოაცხადა. გაათავისუფლა ბერები ყოველგვარი საეკლესიო და საერო გადასახადებისაგან და დაამატა პროტის, როგორც ძმათა შორის უფროსის სასამართლო უფლებები (კოპალიანი, 1969:300)

განსაკუთრებით აღსანიშნავია მარიამის ღვაწლი პეტრიწონის ქართული ლავრის მშენებლობაში. წყაროების მიხედვით იგი ახლოს იყო გრიგოლ ბაკურისძესათან, რომლის მიერაა დაარსებულ პეტრიწონის მონასტრი. მონასტრის წესდებაში ვკითხულობთ: ***,,ვიწყოთ ჩვენ საუბარი... შესახებ ადგილსამყოფელისა მის პეტრიწონად წოდებულის ციხის შეკრებილ მონაზონებისა, რომელნიც ქართული წერა-კითხვისა და ენის მცოდნენი არიან და მოთავსებული არიან ყველანი... ახლახან ასენებულ მონასტერში, რომელიც აღვაშენე მე გრიგოლმა, ღვთის ნებით სევასტოსმა და მთელი დასავლეთის***

დომესტოსმა, ღვიძლმა შვილმა ნეტარი ბაკურიანისა, ბრწყინვალე ერისთავთ-ერისთავისა, რომელიც წარმოშობით ვარ აღმოსავლეთელი მხარეებიდან, იბერთა უბრწყინვალესი გვარიდან“ (გეორგიკა 5:99). ამასთანავე პეტრიწონის მონასტრის ძმობის წევრებს გრიგოლ ბაკურიანის ძე მიმართავს: ,,ქართველები ვართ და ყოველგვარი მხედრული ცხოვრება გამოვლილი გვაქვსო (კოპალიანი, 1968:101,151).

მართა დედოფლს საერო და საეკლესიო წრეებში დიდი ავტორიტი ქონდა, ფლობდა დიდ ქონებას მაკედონიასა და თრაკიაში. გრიგოლ ბაკურიანის ძე მასში მოკავშირესა და მფარველს ხედავს. გრიგოლ ბაკურიანის ძეს სურდა პეტრიწონის მონასტრისათვის „კერძო მონასტრის“ სტატუსი მოეპოვებინა. და როგორმე აეცილებინა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მოხვედრა. მონასტრის კურთხევისათვის და ტიპიკონის დასამტკიცებლად მან მოიწვია იერუსალიმის პატრიარქი ექვთიმე (შანიძე, 1971:126). დედოფალი მართა პეტრიწონისა და საქართველოს ურთიერთობებში ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. გრიგოლ ბაკურიანის ძეს თავისი მონასტრისათვის სჭირდებოდა ბერების მუდმივი ნაკადი საქართველოდან. ისინი ჩამოდიოდნენ საზღვარგარეთ არსებული ქართული მონასტრებიდანაც. ბიზანტიაში მოხვედრილი ქართველი ბერები, სტუდენტები თუ პროფესიონალი ოქრომჭედლები დედოფალ მართას დახმარებით სწავლობდნენ ამ ხელობას, რათა სამშობლოში აეღორძინებინათ ეს დარგი.

ხოლო დედოფალი მართა პეტრიწონის მონასტერს ამგვარ დახმარებასაც უწევდა. ფიქრობენ, რომ დედოფალი და გრიგოლ ბაკურიანის ძე სხვა საკითხებშიც აქტიურად თანამშრომლობდნენ. გაურბიან საჯაროთ ერთმანეთთან პირისპირ შეხვედრას.

ცნობილია, რომ იოანე პეტრიწი, იგივე „აბაზგი გრამატიკოსი“ 1082 წელს იოანე იტალოსის წინააღმდგე მოწყობილი სასამართლო პროცესის შემდეგ

კონსტანტინოპოლიდან იდევნება და პეტრიწონში ჩადის, სადაც რამდენიმე წელიწადს მოღვაწეობს. მას ძლიერი მეურვე დასჭირდებოდა, რომელსაც მხოლოდ გრიგოლ ბაკურიანის ძე ვერ შეითავსებდა. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ გრიგოლი სულ მალე ბრძოლაში დაიღუპა, მართა-მარიამს კი შესწევდა ძალა დახმარებოდა იოანე პეტრიწს. გავრცელებული შეხედულებით, იგი მოღვაწეობას გელათის მონასტერში აგრძელებს. სავარაუდოდ, აქაც დედოფალ მართას რეკომენდაციით (მასურასვილი, 2019:49-50).

1086-1088 წლებიდან დედოფალი მართა პატრონობს თრაკიაში, კერძოდ, პაპიკიონის მთაზე მდებარე მონასტერს. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ თავდაპირველად არ იყო მცირე ზომის ეკლესია, ხოლო შემდეგ დედოფალის ინიციატივით მოხდა მისი გაფართოვება (მასურაშვილი, 2019:50-51).

არსებობს ვარაუდი, რომ ბიზანტიის იმპერიის დასავლეთ მხარეში დედოფლის მიერ სხვა ეკლესია-მონასტრებიც უნდა დაარსებულიყო (მასურაშვილი, 2019:41).

მარიამ დედოფალმა დედასთან, ბორენასთან ერთად კი ააგო კაპათას ცნობილი მონასტერი - იერუსალიმში. კაპათა მდებარეობდა სინას მთაზე. აქ VI საუკუნეში იუსტინიანე დიდს, ძველი ტაძრის ადგილას, აუგია ეკლესია, რომლის მახლობლად პილიგრიმთა მისაღები სასტუმრო იყო. ახალი ტაძარი XI საუკუნეში ბაგრატ IV-ის მეუღლემ ბორენა დედოფალმა და ასულმა, მართა დედოფალმა ააშენა. იგი ქართული მწიგნობრობის მნიშვნელოვანი კერა იყო. კაპათას XI-XIII საუკუნეებში მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონია, სადაც ინახებოდა პარაკლიტონი, მარხვანი, რომელიც ნიკოლოზ კატარინის ძეს გადაუწერია. აქვე იყო კვირიკესა და მისი მოწაფის მარკოზის მიერ შედგენილი სექტემბერ-ოქტომბრისა და იანვრის თვენი, ,,წმინდანთა ცხოვრება“ - გადაწერილი ანჩელის დისწულის ოქროპირის მიერ. სამწუხაროდ

1244 წელს ხვარაზმელთა შემოსევების შედეგად განადგურდა კაპათას წიგნსაცავი და ხელნაწერები გაიფანტა (ცაგურიშვილი, 2008).

თავი V

მართა-მარიამის უკანასკნელი წლები თრაკიულ მამულში

დედოფალი მართა დუკების საგვარეულოს მთავარი მემკვიდრე იყო. ანა კომნენოსის მიხედვით იგი ფლობდა მიწებსა და საზაფხულო რეზიდენციას სერეს თემში, ე.წ. „პენტიგოსტი“, მამულებს პეტრიძოში (დღევანდელი ბაჩკოვოს მონასტრის ახლოს, დაბლობზე). მდიდარ მიწებს პერნიკაში (ქ. სოფიადან 20 კილომეტრში) და მამულებს ხრისტუპოლისში (დღევანდელი ქ. კავალა თრაკიაში). მას ეკუთვნოდა ნაყოფიერი მიწების დიდი ნაწილი, რომელიც პაპიკონის მთის დაბლობზე მდებარეობდა. ბერძენი არქეოლოგების მიერ პაპიკონის სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური გათხრები ადასტურებს მართა დედოფლის მოღვაწეობის უკანასკნელი წლებისა და გარდაცვალების ფაქტს თრაკიაში.

არქეოლოგიურმა გათხრებმა აჩვენა, რომ სამონასტრო კომპლექსი მდიდარი და კერძო ტიპისაა. მისი არსებობის შესახებ წყაროებში ინფორმაცია არ მოგვეპოვება. მონასტრის ტერიტორიაზე მიკვლეულ იქნა 120 ბიზანტიური მონეტა, რომელთაგან ერთ-ერთზე, ვერცხლის „მილერისიაზე“, მართა დედოფლისა და ნიკიფორე ბოტანიატეს გამოსახულებაა მოცემული. ერთ-ერთ სამარხში, რომელიც ეკლესიის ჩრდილოეთ კედელთან მდებარეობდა და გადახურული იყო დიდი თლილი ქვით, არქეოლოგებმა მიაკვლიეს რკინის ლურსმნებს, მდიდრული ქსოვილის რამდენიმე ფრაგმენტს და ბაჯაღლოს ოქროს ბეჭედ-საბეჭდავს. საბეჭდავზე ამოტვიფრულია წარწერა: „MAPHAC BOTONIATHNA”. მართა-მარიამი საბეჭდავს პირადი მიმოწერის დროს იყენებდა. ლუქავდა სიგელ-გუჯრებსა და წერილებს. საბეჭდავზე სახელი „მარია“ ორთოგრაფიული შეცდომითაა შესრულებული, რაც მკვლევართათვის სიახლეს არ

წარმოადგენს ბიზანტიური ხანის ეპიგრაფიკაში, ოფიციალური სახის წარწერებშიც კი. მეორე სიტყვა „ვოტოონიატინა“ თითქმის გამართულია გრამატიკულად. საბეჭდავზე არ გვხვდება დედოფლის სამეფო ტიტული, ამიტომ ფიქრობენ, რომ იგი დედოფლის გადადგომის შემდეგაა დამზადებული. ის, რომ დედოფალს ჰქონდა პირადი სახის არც თუ მცირე მიმოწერები მოწმობს თეოფილაქტოს ახრიდელის და ევსტრატიოს ნიკეელის პირადი წერილებიც.

ბერძენი არქელოგების მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ საქმე გვაქვს დედოფალ მართას სამარხთან. ვინაიდან „ვოტანიატე“, გნებავთ „ბოტანიატე“ ბიზანტიის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთაც დედოფალ მართას გულისხმობდა. ამ მოსაზრებას იზიარებენ ქართველო მკვლევრებიც. დასკვნებს აძლიერებს მთავარი ეკლესიის ცენტრალურ შესასვლელში კედელის ქტიტორული კომპოზიცია: მდიდრულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალისა და ბავშვის გამოსახულებები. არქეოლოგი ნიკოს ზიკოსი თვლის, რომ გამოსახული პიროვნება დედოფალი მართაა თავის შვილთან, კონსტანტინე პორფიროგენეტთან ერთად (მასურაშვილი, 2019:41-51).

ლიტერატურა:

2. **ამირანაშვილი ა.,** ხახულის კარედი, თბ., 1972
3. **ანთელავა ი.,** საქართველოს სამეფო სახლის გენეალოგიიდან XI ს. - საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, №2, 1983, გვ.437-440
4. **ანთელავა ი.** XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები, თბ.,1988
5. **ანა კომნენენე,** გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტომი VI. თბ., 1966. ტომი VI. გვ.68-69
6. **ბატონიშვილი ვახუშტი** , აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV,
7. 1973.
8. **გაბიძაშვილი ე.,** რუის-ურბნისის ზეგლისწერა, თბ., 1978
9. **გიორგი მცირე,** ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, ზველი აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, თბ., 1967
10. **გიორგი კედრენე,** გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქარტული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს.ყაუხცისვილმა, ტ.V, თბ., 1963.
11. **იოანე ზონარა,** ისტორია, ბერზნული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო მ.კახიძემ - გეორგიკა, VI, 1966
12. **იოანე სკილიცეს** გამგრძელებელი, გეორგიკა: ტომი VI. თბილისი 1966.
13. **კეკელიძე კ.,** ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, - ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, თბ., 1960
14. **ლორთქიფანიძე მ.,** საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს 80-იანი წლებიდან - საქარტველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979.

15. **მასურაშვილი მ.,** მართა-მარიამ ბაგრატიონი საქართველოს და ბიზანტიის კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში (სამაგისტრო ნაშრომი), თბ., 2019.
16. **მესხია შ.,** ძლევაი საკვირველი, თბ., 1986
17. **მიქაბერიძე ა.**, მართა ბაგრატიონი ბიზანტიასა და საქართველოში. ქართული დიპლომატია წელიწდეული, ტომი IV. თბ.,1997:118-140
18. **ნადირაძე ქ.,** ქართული ისტორიოგრაფია, თბ., 2012
19. **ნოდია ი.,** ქართული მასალები მართა-მარიამის შესახებ. ბიზანტიოლოგიური ეტიუდები. თბ., 1978. გვ.146-147
20. **ოთარაშვილლი ა., მიქელაძე ნ.,** ბიზანტიის დედოფალი მარიამ ბაგრატიონი და საქართველო, - ჟურნალი- ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, 2020:111-117
21. **პაპასქირი ზ.,** ,,მატიანე ქართლისას" ერტი ცნობის გაგების საკითხისათვის - პროფესორ-მასწავლებელთა საინსტიტუტთა შორისო სამეცნიერო სესია, მასალები, თბ. 1979.
22. **პაპასქირი ზ.,** ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხისათვის, თბ., 1990
23. **სუმბატ დავითის ძე,** ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, - ქართლის ცხოვრება, I, 1958
24. **ქართლის ცხოვრება,** I, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1958
25. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, ნაკვ., I, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: ლ. ახობაძემ, რ. გვარამიამ... თბ.,1986
26. **შანიძე ა.,** ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971,
27. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948.

28. **ცაგურიშვილი თ.,** ქართული კერები უცხოეთში (დედათა სავანეები- კაპათა), ჟურნალი კარიბჭე, 24.01.2008

ხახულის კარედი

ტრიპტიქონი



იმპერატორი მიხეილ VII დუკა და დედოფალი მარიამი

იმპერატორი ნიკიფორე III და დედოფალი მარიამი

მონეტის ავერსზე გამოსახულია მართა-მარიამი და მიხეილ დუკა, ხოლო რევერსზე ღვთისმსობელი მარიამი ჩვილ იესოსთან ერთად

მონეტის ავერსზე გამოსახულია მართა-მარიამი, ხოლო რევერსზე ღვთისმსობელი მარიამი ჩვილ იესოსთან ერთად